თემურ შაშიაშვილის წერილი "24 საათს" A5

უმცროსი ბუშის ვენდეტა A6

ჩემპიონი უილიამსია A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 7 ივლისი, 2002 წელი. №35

ფასი 50 თეთრი

# ვიდრე პრეზიდენტის „ბუდეს„ ვილაცა ისევ გადაუფრენდეს...

ვერიკო თევზაძე

*საქართველოში ლუსტრაციის თემა პერიოდულად იწევს წინა პლანზე. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების დროს ხდებოდა. პარლამენტის რამდენიმე მცდელობას, შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლიდა უშიშროების ფაილების მდგომარეობას და შეიმუშავებდა საკანონმდებლო ბაზას ლუსტრაციის მექანიზმის განსახორციელებლად, დღემდე შედეგი არ მოჰყოლია.*

ჩვენში ძალიან ხშირად ლუსტრაცია აგენტურის სიების გამოქვეყნებასთან ასოცირდება. არადა, ლუსტრაციის არსი არის პარტიული ნომენკლატურის, ყოფილი სპეცსამსახურების თანამშრომელთა ჩამოშორება სახელმწიფო მართვის სადავეებიდან. პირები, რომლებიც მუშაობდნენ ან თანამშრომლობდნენ სხვადასხვა სამსახურებთან, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემიან, მაგრამ მაღალ თანამდებობებზე მათ შეზღუდვები დაუწესდებათ.

საქართველოში ხშირად გაიგონებთ ამგვარ შეკითხვას – რამდენად დროულია ჩვენში ლუსტრაცია? საქმეში ჩახედული პოლიტიკოსები და იურისტები აცხადებენ, რომ ლუსტრაციის კანონის მიღება საკმაოდ გვიანდება, ამ მხრივ ჩვენმა ქვეყანამ რამდენჯერმე გაუშვა შანსი ხელიდან. იურისტ გიორგი პაპუაშვილის მოსაზრებით, კანონის მიღება ადვილი შესაძლებელი იყო გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში. შემდგომში, შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტების დროს, სპეცსამსახურების თემამ კვლავ წინა პლანზე წამოიწია.

კანონის დაბლოკვის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც სახელისუფლებო მართვის სადავეები უჭირავთ ძველი ნომენკლატურის წარმომადგენლებს, ანდა გარეგნულად სახეშეცვლილ ნომენკლატურას, რომლის მენტალიტეტიც უცვლელი რჩება. **"ლუსტრაციის კანონის მიუღებლობამ ჩვენში ნომენკლატურას საშუალება მისცა, პრივატიზაციის შედეგად, დიდძალი ქონება ჩაეგდო ხელში და პოლიტიკაშიც მოეპოვებინა გავლენის ბერკეტები. თუ ნორმალური სახელმწიფოს აშენება გვინდა, საქართველოში ბიზნესი და პოლიტიკა ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ჩვენს პარლამენტში ეკონომიკურ კანონებს იღებენ ისინი, ვინც უშუალოდ არიან დაკავშირებული ბიზნესთან და ეკონომიკასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თამაშის წესს თამაშის მონაწილეები ადგენენ,"** – აცხადებს პოლიტოლოგი ზურაბ ჭიაბერაშვილი. მისი აზრით, საქართველოში ლუსტრაციის კანონი თავის დროზე რომ მიგვეღო, დღეს "დაუსაბუთებელი ქონების კანონპროექტზე" საუბარი აღარ დაგვჭირდებოდა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადება, რომ თბილისის ომის დროს ბევრი მასალა დაიწვა, საზოგადოებაში ეჭვსა და უნდობლობას იწვევს (არაოფიციალური ინფორმაციით, მასალების საკმაოდ დიდი ნაწილი ნამდვილად არსებობს). ბევრი პოლიტიკოსი, მათ შორის, პარლამენტარი ელენე თევდორაძე, არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ასეთ შემთხვევაში, "უთანაბრობის პრინციპის" გამო, უარი უნდა ვთქვათ იმ პირების ლუსტრაციაზე, რომელთა შესახებაც მასალები მოგვეპოვება. იურისტ გიორგი პაპუაშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ და პოლიტიკურმა წრეებმა არ იციან, რა მდგომარეობაშია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ყოფილი სუკ-ის ფაილები (ფაილების ნაწილი 1989-1990 წლებში რუსეთში გაიტანეს), ლუსტრაციას ჩვენში პრევენციული ხასიათი ექნება. **"თუ მივიღებთ კანონს, რომელიც თანამდებობის პირს დაავალდებულებს, წარმოადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი სპეცსამსახურთან არ თანამშრომლობდა, ბუნებრივია, ეს ადამიანი ნაკლებ რისკზე წავა – მან ხომ დაზუსტებით არ იცის, არსებობს თუ არა მასალები მის შესახებ."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# რატომ გაათავისუფლა შევარდნაძემ ტუსაღთა სამეული

A3



თემურ ხაჩიშვილი



გურამ პაპუკაშვილი

## ჯაბა იოსელიანი ხაჩიშვილზე ნაწყენია

"მხედრიონის" ლიდერი ჯაბა იოსელიანი მიესალმება თემურ ხაჩიშვილის, გურამ პაპუკაშვილის და გიგა გელაშვილის შეწყალებას და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას ჰუმანურს უწოდებს.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" უთხრა ჯაბა იოსელიანმა, აღნიშნულ პირებს გათავისუფლება კანონით ეკუთვნოდათ, რადგან სასჯელის ნახევარზე მეტი მოიხადეს. ამასთან, მისი თქმით, პრეზიდენტის ეს ნაბიჯი "მაინც პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული."

ჯაბა იოსელიანი ამბობს, რომ პრეზიდენტს გიგა გელაშვილის გათავისუფლება ადრეც უნდოდა, მაგრამ "შესაფერის მომენტს" ეძებდა.

იოსელიანმა აღნიშნა, რომ გელაშვილს და პაპუკაშვილს მათი გათავისუფლებისთანავე აუცილებლად შეხვდება და მომავალ გეგმებზე ისაუბრებენ. ამასთან თქვა, რომ თემურ ხაჩიშვილის "მხედრიონში" დაბრუნება, სავარაუდოდ, არ მოხდება, რადგან იგი შს მინისტრობის პერიოდში "მხედრიონის" წინააღმდეგ ოპერაციებს ახორციელებდა.

**პრაიმ-ნიუსი.**

## თინიკაშვილი საკუთარ ადვოკატთან დუმილის უფლებას იყენებს

მაია მოსიაშვილი

30 წლის თბილისელი შოთა თინიკაშვილი, ჯერჯერობით, "რუსთავის საქმეში" დაფიქსირებული ერთადერთი ექვმიტანილია. მის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ წლების წინ იყო ლევან მამალაძის პირად დაცვაში, ხოლო ამჟამად რიგითად მუშაობს მარნეულის დაცვის პოლიციაში.

შსს-ს წინასწარი დაკავების საკანში მყოფმა თინიკაშვილმა ორი დღის წინ აღიარებითი ჩვენება მისცა. უკვე მეორე დღეს კი, მისი დამცველები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ გამოძიებამ აღიარება დაპატიმრებულზე ზეწოლის შედეგად მიიღო.

ამჟამად თინიკაშვილს ორი ადვოკატი იცავს. თავდაპირველად აყვანილი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი აცხადებს, რომ დაკავებულზე არა ფიზიკურ, არამედ მორალურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. **"ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ აღიარება და რეალობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ბიულეტენების გატაცების დროს თინიკაშვილი საკუთარ სახლში იყო და ეძინა, რასაც მისი ოჯახის წევრები და ახლობლები ადასტურებენ. გარდა ამისა, ლოგიკურია, რომ ნებისმიერი ექვმიტანილი, თუ აღიარებითი ჩვენების მიცემას დააპირებდა, ადვოკატს შეატყობინებდა ამის შესახებ. თინიკაშვილმა კი არა თუ კონსულტაცია ისურვა, მის ჩვენებაში წერია - ადვოკატის დასწრება არ მინდა, რადგან სიმართლე უნდა ვთქვაო,"**- ამბობს ადვოკატი.

ყავლაშვილის თქმით, იმ დღეს, როდესაც თინიკაშვილმა აღიარებითი ჩვენება მისცა, ის მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა გამოძიებასთან დაკავშირებას. ტელევიზიით მისი კომენტარის გასვლის შემდეგ კი, თავად დაურეკეს და უთხრეს, მობრძანდით და ნახეთო. როდესაც ადვოკატი თინიკაშვილთან მივიდა, ოთახში გამომძიებელი კვარაცხელია და პროკურორი ზარანდია იმყოფებოდნენ, რომლებიც "ჩემო ძვირფასოთი" მიმართავდნენ პატიმარს და ისიც მათ ყველაფერზე თავს უქნევდა. ყავლაშვილს წინ ჩვენება დაუდეს და, როდესაც მან დაკავებულთან ცალკე დარჩენა მოითხოვა, ისინი ხუთიოდე წუთით დატოვეს პირისპირ. ადვოკატი აცხადებს, რომ თინიკაშვილმა დუმილის უფლება მასთან გამოიყენა და მხოლოდ ასეთი ფრაზა თქვა: "მე ვიცი, რომ ასე სჯობია და მერე რომ შევხვდებით, ყველაფერს გეტყვი."

ჩვენების მიცემის შემდეგ ექიმმა თინიკაშვილი შეამოწმა და მასზე ფიზიკური ზეწოლა გამორიცხა.

შოთა თინიკაშვილის მეუღლე ქეთევან აბზიანიძე ადასტურებს, რომ მის ქმარზე არა ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ:

**"შოთა შაბათსაც და კვირასაც სახლში იყო. პირველ ივნისს, საღამოს მუხიანში ვიყავით სტუმრად, ღამით გვიან დავბრუნდით და ორში დღის პირველ-ორ საათამდე შოთას ეძინა. ზეწოლის გარეშე, ის ამგვარ ჩვენებას არ მისცემდა."**

თინიკაშვილის მეორე ადვოკატი, რომელიც გუშინ ჩაერთო საქმეში, შემდეგ დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას: **"მოსამართლემ ბრძანება რომ გასცა, ექვმიტანილი პირდაპირ ციხეში უნდა გადაეყვანათ, მათ კი ისევ "კაპეზე"-ში დააბრუნეს. ეს უკვე მიუთითებს იმ უკანონობაზე, რაც ხდება."**

ამ არგუმენტს აბათილებს პირველი ადვოკატის ნათქვამი: **"თინიკაშვილმა იზოლატორში გადაყვანაზე თავად თქვა უარი და წინასწარი დაკავების საკანში დარჩენა ისურვა. რა ვიცი, იზოლატორში ვისთან ერთად ჩამსვამენ საკანშიო."**

შოთა თინიკაშვილი გუშინ იზოლატორში მაინც გადაიყვანეს. ადვოკატი ყავლაშვილი აცხადებს, რომ სამართალდამცველებმა ეს სპეციალურად გააკეთეს, რადგან შაბათ-კვირას იქ შესვლა ან რაიმე საპროცესო მოქმედების ჩატარება გამორიცხულია.

"24 საათი" უშედეგოდ ეძებდა ორ მოწმეს, რუსთავის პოლიციის თანამშრომელსა და საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრს, რომელთაც, გამოძიების განცხადებით, თინიკაშვილი ამოიცნეს. მათი ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ისინი ქალაქიდან არიან გასულნი.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას თინიკაშვილის მიერ ქვემო ქართლის პოლიციის მაღალჩინოსანთა დასახელების თაობაზე, სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო ბუკიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მსგავსი ინფორმაცია მას არ გააჩნია. "24 საათის" კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ ის დაკითხონ, ბუკიამ თქვა, რომ ის ამას არ გამორიცხავს.

## შავ ჭირს გადავურჩით

მაკა ჭაიანი

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირთხში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი მერაბ ოდიშარია ზუგდიდის საავადმყოფოში სისხლდენით გარდაიცვალა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი დაღუპვის მიზეზი შავი ჭირი იყო. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. კირთხის მცხოვრებლებმა სამეგრელოს ჯანდაცვის რეგიონული განყოფილებისგან, სრული ეპიდემიოლოგიური გამოკვლევისთვის, ჯგუფის გამოყოფა და სოფლის დეზინფიცირება მოითხოვეს. გუშინ კირთხის მოსახლეობამ სოფლიდან ბავშვების გახიზვნა დაიწყო. მათი შიში გაპირობებული იყო ბოლო დღეებში ბავშვებსა და მოზრდილებში ტემპერატურის აწევით. იმასაც ამბობენ, რომ ჯანდაცვის რეგიონულმა განყოფილებამ ხალხი გააფრთხილა, არ გაეხმაურებინათ მერაბ ოდიშარიას შავი ჭირით გარდაცვალების ამბავი.

ჩხოროწყუს რაიონის მთავარი ეპიდემიოლოგი, ქეთევან გაგოშიძე ასეთ ხმებს უარყოფს: **"მსგავსი გაფრთხილება არ შეიძლებოდა, ვინმესთვის მიეცათ, მით უმეტეს, რომ ოდიშარია შავი ჭირით არ გარდაცვლილა. მას მუცლის ტიფის დიაგნოზი დაესვა. გარდაცვლილი წინა დღეს მაღაზიაში შეძენილი და გახსნილი თევზის კონსერვის ჭამის შემდეგ დაავადდა. იგი ზუგდიდში მწვავე ინტოქსიკაციით გადაიყვანეს, მაგრამ სისხლდენა დაეწყო და გარდაიცვალა. აქ ბევრი ჭორი დადის. იმასაც ამბობენ, ექიმები გარდაცვლილის სახლში ნიღბებით მივიდნენო, მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. რაც შეეხება ტემპერატურის მატებას, მერაბ ოდიშარიას ვაჟს მართლაც ჰქონდა მაღალი სიცხე, მაგრამ იგი რესპირატორული დაავადებით იყო გამოწვეული. სოფლის სხვა მცხოვრებლებს კი ტემპერატურა შიშის გამო აეწიათ."**

ჩხოროწყუში შავი ჭირის არსებობას კატეგორიულად უარყოფენ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრშიც. **"მსგავსი რამ არ შეიძლება მოხდეს, ამის საფუძველი არ არსებობს, რადგან ჩხოროწყუში შავი ჭირის ბუნებრივი კერა არ არის,"** - აცხადებს ცენტრის დირექტორი, პაატა იმნაძე, - **"ვშიშობ, ასეთი მითქმა-მოთქმა პრესაში გავრცელებულმა ინფორმაციამ გამოიწვია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ომის დროს სოხუმში შავი ჭირის ბაცილა შეიტანეს. ესეც სრულიად უსაფუძვლო ჭორია. იმ დროს პირადად ვიყავი აფხაზეთში და, უნდა გითხრათ, ასეთ ინფორმაციებს რუსეთის სპეცსამსახურები ავრცელებდნენ. ვფიქრობ, დღევანდელი აჟიოტაჟიც უცხოეთის სპეცსამსახურების დამსახურებაა."**

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ჩხოროწყუში სპეციალური ჯგუფის მივლინებას არ აპირებს. ცენტრის დირექტორის მოადგილის, ლევან ბაიდოშვილის განცხადებით, ამის საჭიროება არ არსებობს: **"ასეთი ჯგუფების გაგზავნა მხოლოდ ეპიდემიის შემთხვევებში ხდება. აქ საქმე ლოკალურ დაავადებასთან გვაქვს და მის მოვლას ადგილობრივი სამსახურებიც მშვენივრად შეძლებენ. პანიკის საფუძველი არ გვაქვს. მუცლის ტიფი ნაკლებად გავრცელებადი ნაწლავური ინფექციაა და ოჯახურ კერებსაც იშვიათად წარმოშობს. რეგიონულმა ეპიდემიოლოგიურმა სამსახურებმა ყველა საჭირო სამუშაო უკვე ჩაატარეს. დაავადების სხვა შემთხვევა კირთხში არ დაფიქსირებულა."**

## „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის„ საჯარო განხილვა დაიწყო

ზაზა ფაჩუაშვილი

კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმმა" წელიწადნახევარი მოანდომა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენისთვის საუკეთესო მარშრუტის შერჩევას და ახლა იმის მტკიცება დაიწყო, რომ მისი სპეციალისტების მიერ საუკეთესოდ მიჩნეულ ტრასას ალტერნატივა არა გააჩნია. პროექტის საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანის გარდა, ამ გადაწყვეტილებას ბიძგი იმანაც მისცა, რომ არსებობს ოპონენტთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმება მილსადენის გაყვანას მდინარე ბორჯომულას სათავეებთან ცხრაწყარო – კოდიანის მონაკვეთზე. სწორედ ეს 25 კილომეტრიანი სამოთხე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, თუმცა "ბრითიშ პეტროლიუმის" ექსპერტები და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ ბორჯომს და ბორჯომის საბადოებს საფრთხე საერთოდ არ ემუქრებათ.

საკუთარი პოზიციების დაცვის მიზნით "ბი-პიმ" და სნსკ-მ გუშინ საჯარო ექსპედიცია მოაწყვეს და ჟურნალისტებიც დაგვპატიჟეს. ჩვენ მთელი დღის განმავლობაში დავფრინავდით აღნიშნული მონაკვეთისა და ოპონენტების მიერ შემოთავაზებული მარშრუტების თავზე. ალტერნატიული მარშრუტი "კარაკაის" მთის სამხრეთით ისეთი კლდოვანი და გაუვალი აღმოჩნდა, რომ სიტყვა ალტერნატიულმა აზრი საერთოდ დაკარგა.

სრულ მასალას ხვალ შემოგთავაზებთ.

ურეკის მაგნიტურმა ქვიშამ პატარკაციშვილიც კი მიიზიდა A4

ცესკო ბიულეტენებს მაინც დაითვლის A4

"წითლები" გაიფიცნენ A5

კოსმოსური მზვერავი მზესაც შემოუფრენს A6

ქართული რაგბის ამბები A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 29 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 27 |
| სოხუმი | 28 |
| ფოთი | 28 |
| თელავი | 28 |
| ზუგდიდი | 30 |
| გორი | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2150 |
| ევრო | 2.1556 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3628 |
| რუბლი | 0.0702 |

# ვიდრე პრეზიდენტის „ბუდეს„ ვიღაცა ისევ გადაუფრენდეს...

პირველი გვერდიდან

უმწვავესი სოციალური პრობლემების ფონზეც კი, საზოგადოების ჯანსაღ ძალებში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოში უსაფრთხოებისა და უშიშროების საკითხები კვლავ აქტუალურია. ჩვენმა მეზობელმა რუსეთმა დღესაც შეიძლება, ნახოს სარგებელი ქართველი აგენტებით. **“რუსეთს შეუძლია გამოიყენოს თავისი მართული ხალხი, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურაშია დასაქმებული და მას განახორციელებინოს საქართველოსთვის საზიანო პოლიტიკა,”** – აცხადებს გიორგი პაპუაშვილი. ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ თემაას უფრო აკონკრეტებს: **“ასლან აბაშიძე რუს სამხედროებთან რომ კარგ ურთიერთობაშია, აღარავისთვისაა საიდუმლო. “აღორძინების” მიერ ყოველ არჩევნებზე, აჭარის ამომრჩევლის ხარჯზე გადალახული შვიდპროცენტიანი ბარიერი, რუსეთს საშუალებას აძლევს, საქართველოს პარლამენტში თავისი აგენტურა შეაპაროს. აგენტურის ქსელი არც “მოქალაქეთა კავშირს” აკლია.”**

გიორგი პაპუაშვილის აზრით, ყოფილ კომუნისტებს ოპოზიციურ პარტიებშიც დიდი გავლენა აქვთ. პაპუაშვილს იმაშიც ეპარება ეჭვი, რომ საქართველოს უშიშროების სამსახური ბოლომდე არ არის რეფორმირებული, რაც სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს.

იგი მიიჩნევს, რომ საქართველოში ლუსტრაციის პროცესი უნდა დაეყრდნოს აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ევროპის რეკომენდაციები ითვალისწინებს, რომ ლუსტრაცია არ შეეხოს არჩევით თანამდებობებს. საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, პაპუაშვილი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ჩვენში ამგვარ თანამდებობებზეც გავრცელდეს ლუსტრაციის კანონი: **“ამომრჩეველს უნდა შეეძლოს, აირჩიოს ის, ვინც სურს, მაგრამ იმავე ამომრჩეველს უფლება უნდა დავუტოვოთ, ჰქონდეს სრული ინფორმაცია დეპუტატობის კანდიდატის წარსული საქმიანობის შესახებ.”**

ქართველი პოლიტიკოსები და იურისტები აცხადებენ, რომ, რაც უფრო ჭიანურდება საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღება, მით უფრო ეჭვქვეშ დგება ქვეყნის უსაფრთხოების და უშიშროების საკითხები. აგენტურა, რომელსაც “ყოფილს” ვუწოდებთ, დღესაც შესანიშნავად ასრულებს დამკვეთის ნება-სურვილს. ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანმა “24 საათთან” საუბრისას განაცხადა, რომ **“არაოფიციალური ინფორმაციით, ინგლისელი ბიზნესმენი პიტერ შოუ ფულის გამო არ გაუტაცებიათ. ამ კრიმინალური ამბის უკან დგას რუსეთის აგენტურა, რომლის მიზანია საქართველოს ავტორიტეტის შელახვა.”**

საზოგადოების სერიოზული ნაწილი ეჭვობს, დღევანდელ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პირობებში ლუსტრაციის კანონის მიღება მოვახერხოთ და არავითარ შედეგს არ მოელიან კომისიისგან, რომლის თავმჯდომარეზე, მიხეილ ოსაძეზე კულუარებში დიდი ხანია საუბრობენ, რომ იგი თავად არის სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი. რამდენიმე დღის წინ “თავისუფლების ინსტიტუტმა” ამის თაობაზე უკვე საჯაროდ განაცხადა. ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ჩნდება რიტორიკული კითხვები, რომელთა შინაარსი, დაახლოებით, ასეთია: **“მაინცადამაინც პრეზიდენტ შევარდნაძის სიცოცხლეს უნდა შეექმნას საფრთხე, რომ სპეცსამსახურების საკითხი და ლუსტრაცია აქტუალური გახდეს?”** ანდა: **“ნუთუ იმას უნდა ველოდოთ, ვიღაცა კიდევ როდის გადაუფრენს პრეზიდენტის “ბუდეს?”**

დიახ, ქვეყანაში, რომელსაც მართავს 70-80-იანი წლების ნომენკლატურა, ლუსტრაციის კანონის მიღება არარეალურია, - აცხადებენ ქართველი პოლიტიკოსები და იურისტები და იქვე დასძენენ: **“ლუსტრაციის მიუღებლობა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ქვეყნის განვითარება ფერხდება, არამედ, ამით მჟღავნდება ქვეყნის პოლიტიკური ნებაც – ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ კომუნისტური იდეოლოგიის დაგმობას, ჩვენ ჯერ კიდევ “იქ” ვრჩებით.”**




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფარუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# რატომ გაათავისუფლა შევარდნაძემ ტუსაღთა სამეული

*პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გუშინწინ სამი ცნობილი ტუსაღის შეწყალება საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. გიგა გელაშვილის, თემურ ხაჩიშვილისა და გურამ პაპუკაშვილის გათავისუფლება შევარდნაძის მორიგ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მოინათლა. ითქვა ისიც, რომ, ხაჩიშვილ-გელაშვილის გათავისუფლებით, პრეზიდენტი ახალ "მხედრიონს" უყრის საფუძველს, არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან თუ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებთან დასაპირისპირებლად.*

*თუმცა, როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მომავალში ვნახავთ, დღეს კი "24 საათის" სტუმრები არიან გუშინ პატიმრობიდან გათავისუფლებული თემურ ხაჩიშვილი და გურამ პაპუკაშვილი.*

## თემურ ხაჩიშვილი: "პრეზიდენტის ერთგული ადრეც ვიყავი, დავრჩი საპყრობილეშიც და გათავისუფლების შემდეგაც მისი ერთგული ვიქნები"

**- თქვენს შეწყალებაზე საუბარი არ ყოფილა და უცბად თავისუფლება გიბოძათ პრეზიდენტმა, რატომ მოხდა თქვენი შეწყალება ასე მოულოდნელად?**

- ჩვენი შეწყალება ყველასთვის მოულოდნელი იყო. ჩემს შეწყალებაზე აქამდე საერთოდ არ ყოფილა საუბარი.

მას შემდეგ, რაც ოსაძის კომისიამ ასლან აბაშიძეზე ტერაქტის მზადების შესახებ ჩემი განცხადება განიხილა, დადასტურდა ჩემს საქმეში არსებული ყველა დარღვევა. კომისიის დასკვნაში დაიწერა, რომ საქმე არის პოლიტიზირებული და გენპროკურორს რეაგირების მოხდენა დაევალა. საქმისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, შევხვდი რუსუდან ბერიძეს და ვუამბე იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ჩემს ოჯახს აქვს. ჩემი ცოლ-შვილი ხომ, რაც დამაპატიმრეს, იმის მერე საბერძნეთში არიან გადახვეწილები. ყოველგვარი სახსრების გარეშე, გაჭირვებაში ცხოვრობენ. ქალბატონ რუსუდანთან შეხვედრის შემდეგ დავწერე განცხადება შეწყალების თხოვნით. თუმცა, დავწერე ისიც, რომ დანაშაული, რომლისთვისაც გამასამართლეს, არ ჩამიდენია-მეთქი. დიდი მადლობა პრეზიდენტს, რომ სამართლიანობა აღადგინა და გაგვათავისუფლა.

**- შეწყალების აქტით პრეზიდენტმა თქვენი მადლიერება და კეთილგანწყობა დაიმსახურა?**

- მე პრეზიდენტის ერთგული ადრეც ვიყავი, დავრჩი საპყრობილეშიც და გათავისუფლების შემდეგაც მისი ერთგული ვიქნები. ის სახელმწიფოს სიმბოლოა, მე მას პატივს ვცემ და უკვე ვუთხარი რუსუდან ბერიძეს, რომ მინდა მასთან შეხვედრა, მადლობის გადასახდელად.

**- რამდენიმე წლის წინ თქვენ სხვანაირად საუბრობდით. სასამართლო პროცესზე, პრეზიდენტს გალიაში თქვენი ადგილის დაკავებასაც უწინასწარმეტყველებდით...**

- ვაკეთებდი მსაგავს განცხადებებს, რადგან მაშინ ვთვლიდი, რომ ვიღაცას უნდა მიექცია ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებული უკანონობისთვის ყურადღება. შემდეგ გამოჩნდა, რომ პრეზიდენტი არაფერ შუაში იყო. მას არასწორ ინფორმაციებს აწვდიდნენ. მას შემდეგ, რაც ის ცრუ მომხსენებლები გაათავისუფლა, სიტუაციაც შეიცვალა და მან სიმართლე გაიგო, რასაც ჩვენი გათავისუფლება მოჰყვა.

**- ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ, თავის დროზე, თქვენი დაპატიმრებით ედუარდ შევარდნაძე დაინტერესებული არ ყოფილა და მხოლოდ ახლა, შვიდი წლის შემდეგ მიხვდა, რომ შეცდომაში შეიყვანეს და გაგათავისუფლათ?**

- როგორ გითხრათ, მის გადაწყვეტილებებს მე ვერ განვიხილავ. უბრალოდ, მადლობელი ვარ მისიც, რუსუდან ბერიძის, ასლან აბაშიძის, მიხეილ ოსაძის, ნანა კაკაბაძის. ვალერი ხაბურძანიამ, ნუგზარ გაბრიჩიძემ და ჯემალ გოგიტიძემ, საერთოდაც, ციხეშიც მომინახულეს.

რაც შეეხება ჩემი დაპატიმრებით დაინტერესებულებს, მაშინ გარკვეულმა ძალებმა ჩათვალეს, რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, მოსაცილებელი ვიყავი. გაიხსენეთ რუსთავისა და ვაკის მაშინდელი არჩევნები. "მოქალაქეთა კავშირი" მაშინ არჩევნების წაგებით ძალზე შეშფოთებული იყო. მერე კი, როცა უკვე გამარჯვებული "მოქკავშირის" ერთ-ერთ ლიდერს, გია ბარამიძეს, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდით კიდეც, ციხიდან დახმარებისთვის მივმართე, მან ყურადღებაც არ მომაქცია. ასევე დამთავრდა ჟვანიასთან ჩემი ურთიერთობის მცდელობაც. ჩემი დაპატიმრებით დაინტერესების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კი ის იყო, რომ კვირაიას ჰქონდა ჩემთან პრობლემები.

**- რა პრობლემები?**

- მას ჰქონდა გეგმა გვენცაძის, გვარამიას, გია უჩავას და სხვათა დაპატიმრების შესახებ, ვითომდა ისინი სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენ. ბაბილაშვილს მათ დაპატიმრებაზე თანხმობა უკვე მიცემული ჰქონდა.

**- დავაკონკრეტოთ, ვის ინტერესებში შედიოდა თქვენი დაპატიმრება. თქვენ დაასახელეთ კვირაია და არჩევნების შედეგებით განაწყენებული "მოქალაქეთა კავშირი," რომელიც იმ დროისთვის ძალზე ჭრელი ძალებისგან შედგებოდა. მაგრამ რადგან თქვენს თანატოლებს ახსენებთ ხოლმე, განაწყენებულ "მოქალაქეთა კავშირში," რომელიც თქვენი მოშორებით იყო დაინტერესებული, ჟვანიას გუნდს გულისხმობთ?**

- არა, ჟვანია, უბრალოდ, იმიტომ ვახსენე, რომ მათ 1999 წელს დახმარება ვთხოვე და წამიყრუეს. ჩვენ რომ დაგვიჭირეს, მაშინ ყველა ერთად იყო. მშვენივრად ურთიერთობდნენ ერთმანეთში კვირაია და ჟვანია. არ გეგონოთ, რომ ამას რაიმე ქვეტექსტით ვამბობდე, უბრალოდ, მაშინ ასეთი სიტუაცია იყო.

**- ძალა, რომელსაც წარმოადგენდით, ხელისუფლებამ თავის დროზე საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად გამოიყენა, რის შემდეგაც ციხეში აღმოჩნდით. ამ უეცარ გათავისუფლებას, შესაძლოა, თქვენი კვლავ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების სურვილი ედოს საფუძვლად.**

- მაშინ მოახერხეს. ჩვენ შევძელით ხელისუფლების შეცვლა, მერე კი მოვიდა ხალხი, რომელსაც ღამეც კი არ ჰქონდა გათეული. მოვიდნენ თავიანთი ინტრიგებით, ინტერესებით. გამოგვიყენეს და ჩვენი დახმარებით მოვიდნენ ხელისუფლებაში. ახლა კი მინდა, გითხრათ, რომ ნაწყენი ვარ. გამოვედი ციხიდან, მივედი სახლში, დამხვდა იქ ხალხი და მათი ნახვით დათრგუნული ვარ. მე ასეთი გაუბედურებული ადამიანები არ მინახავს, გნებავთ - ჩაცმულობით, გნებავთ - გარეგნობით, გნებავთ - გამომეტყველებით. ამაზე მეტად ხალხის დაბეჩავება შეუძლებელია. მე თუ დასაჭერი ვიყავი, ამ ხალხისთვის მაინც მიეხედათ. თუ ხალხი დაიმშა, ისინი რატომ არიან მაძღრები? ამას, უბრალოდ, ადამიანურად ვამბობ, რადგან მათი თანატოლი ვარ. აღარ ვაპირებ ვინმეს გამოვაყანებინო თავი, თუნდაც იმიტომ, რომ მერე ისევ გაქსუებულებმა არ მართონ ქვეყანა.

**- დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ვის მიმართ ხართ სიმპათიით განწყობილი?**

- "აღორძინების", კერძოდ, ჯემალ გოგიტიძის მიმართ, რომელმაც ლამის ძმობა გამიწია. ძალიან დიდ პატივს ვცემ ასლან აბაშიძეს. სხვას ვერავის მივაწვდინე ხმა. პრეზიდენტმა კი გადამწყვეტი როლი ითამაშა.

**- ასლან აბაშიძის მხრიდან რაიმე თანამდებობის შემოთავაზების შემთხვევაში, თუ დათანხმდებით წინადადებას?**

- რა უნდა შემომთავაზოს? დავუშვათ და, ასეთი რამ მოხდა - რაც არა მგონია - რა თქმა უნდა, არ წავალ. თუმცა, ბათუმში უახლოეს მომავალში უნდა ჩავიდე, ასლან აბაშიძეზე ტერაქტის მზადების გამო მიმდინარე გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

**- დღეს პოლიტიკური სიტუაცია მეტად დაძაბულია და მის კიდევ უფრო გართულებას ვარაუდობენ - პოლიტიკურ ძალთა მწვავე დაპირისპირების ხარჯზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს მადლიერების გრძნობას თავიანთი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენებენ?**

- როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთი დაპირისპირების დაწყების პირობებში, ჩემი გამოყენება? რა, მლებრიშვილის ფუნქციას დამაკისრებენ? სხვა მხრივ, მე რა ძალა მაქვს, რომ ვინმეს სჭირდებოდეს მისი გამოყენება.

**- ესე იგი, თქვენი გათავისუფლების პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავთ?**

- არაფერს გამოვრიცხავ. მე არ ვიცი, რას ფიქრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები, უბრალოდ, ჩემი აზრი მოგახსენეთ. შეხვედრა მქონდა გენერალურ პროკურორთან, მას ჩვენი საქმის შეკერვაში მონაწილეობა არ მიუღია. შემხვდა უშიშროების მინისტრიც, არც მას მიუღია ჩვენს საქმეში მონაწილეობა. ამიტომ მათთვის ადვილი იყო სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და ასეც მოიქცნენ.

**- პოლიტიკაში მოსვლას აპირებთ?**

- ჯერ არ ვიცი. ვნახოთ. რომ გამოვერკვევი, არ არის გამორიცხული, პოლიტიკას დავუბრუნდე. რა თქმა უნდა, ჩემს განცხადებებს პოლიტიკური ელფერი დაკრავდა, მაგრამ რა იქნება მომავალში, არ ვიცი. დღეს ვერაფერს ვიტყვი, ეს არასერიოზული იქნება. დღეს დილით გამოვედი ციხიდან და სივრცეს ვეჩვევი. 7 წელი ლამის კარცერში ვიყავი გამოკეტილი.

**- ამ შვიდი წლის მანძილზე ამბობდით, რომ 29 აგვისტოს ტერაქტი იმ ჯგუფს, რომელიც ამისათვის გაასამართლეს, ანუ თქვენ, არ ჩაგიდენიათ. მაშინ ვინ მოაწყო ეს აფეთქება?**

- მე რომ ჩემს ძველ თანამდებობაზე ვიყო, ვიტყოდი, ვინც მოაწყო. ახლა კი მხოლოდ ერთ ამბავს მოგიყვებით და დასკვნები თავად გააკეთეთ. აგვისტოს ბოლოა, გიორგაძე მოსკოვში წავიდა და მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად ავთო იოსელიანი დატოვა. მართალი გითხრათ, ვთხოვე, მე დავეტოვებინე, მაგრამ ასე არ მოიქცა. რატომ ვთხოვე? მქონდა ამის საფუძველი — ის, რაც შემდეგ მოხდა. მე რომ ვყოფილიყავი ყველაფერზე პასუხისმგებელი, არაფერიც არ მოხდებოდა. მოკლედ, მინისტრის უფლებამოსილებით აღჭურვილმა იოსელიანმა ჩაატარა თათბირი, რომელსაც ყველა მოადგილე ვესწრებოდით და გამოაცხადა საზეიმოდ: შევარდნაძე პარლამენტის ეზოში უნდა ააფეთქონო. დავიჭიროთ მერე ისინი, ვინც უნდა ააფეთქოს-მეთქი, ვუთხარი. არა, კონტროლზე გვყავსო, მიპასუხა. კი მაგრამ, რომ გამოვიდეს კონტროლიდან, გამოგვეპაროს რამე და მართლა ააფეთქონ-მეთქი? არ დამიჯერა. თუმცა, ქუთათელაძეს, რომელიც მაშინ შევარდნაძის დაცვის უფროსი იყო, მივწერეთ ოფიციალური წერილი, რომ გაემაგრებინათ პარლამენტის ეზო. როგორც გაამაგრეს, იცით. ამ ეპიზოდს, იმის გათვალისწინებით, როგორც განვითარდა მოვლენები ამ თათბირის შემდეგ, თქვენ მიეცით შეფასება. მეტსაც გეტყვით, ხომ ჰქონდა ინფორმაცია, რომ შევარდნაძე უნდა აეფეთქებინათ, დაადო იოსელიანმა თავი და წავიდა მოსკოვში ისე, რომ მინისტრის მოვალეობაც კი არ გადაუბარებია არავისთვის. ტერაქტის მერე უკვე მქონდა ინფორმაცია, რომ ჩემს დაპატიმრებას აპირებდნენ. მივედი კვირაიასთან და ვუთხარი, ხომ იცი, მე ამაში მონაწილეობა არ მიმიღია და მოეშვი ამ სისულელეს-მეთქი. არა, ვიცი, რომ არაფერ შუაში არ ხარო. მაშინ მოვიხსენი დაცვა. როგორ შეასრულა კვირაიამ სიტყვა, ყველამ კარგად იცის.

მე ჩვენს დაპატიმრებაში ორგვარ ინტერესს ვხედავ – ერთ-ერთ პოლიტიკურ ჯგუფს ხელს არ აძლევდა ჩვენი სიძლიერე — ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც დაგვიპირისპირდნენო, და მეორე — ის ხალხი, ვინც უამრავი სიბინძურე აკეთა და ეშინოდა, ჩვენ ეს ყველაფერი სააშკარაოზე არ გამოგვეტანა.

**- იგორ გიორგაძესთან თუ აპირებთ დაკავშირებას?**

- თვითონ მე არ ვაპირებ, მაგრამ თუ თავად დამიკავშირდება, გაბუტული არ ვარ მასთან და, ცხადია, დაველაპარაკები. ისე, ჩვენ დანაშაული ერთად არ ჩაგვიდენია და თუ იმისთვის სთხოვენ პასუხს, რისთვისაც ჩვენ, ეს აბსურდია. თუ სხვა რამე აქვთ მის წინააღმდეგ, ეს მე არ ვიცი.

**- შეწყალება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს თქვენი უდანაშაულობის ცნობას. რეაბილიტაციას თუ მოითხოვთ?**

- ვნახოთ, ჯერ ამისთვის არ მცალია.

## გურამ პაპუკაშვილი: "არ ვაპირებ, ვიცხოვრო ასეთ საქართველოში"

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი გათავისუფლება პოლიტიკური აქტი იყო?**

- მე პოლიტიკური ფიგურა არა ვარ, ჩემი გათავისუფლებით ქულები რომ დაეწერა ვინმეს, ამიტომ, რომ ვთქვა, პოლიტიკური საფუძველი აქვს ჩემს გათავისუფლებას-მეთქი, არ იქნება მართალი. არც ციხეში, არც მანამდე, სანამ თავისუფალი ვიყავი და, მით უმეტეს ახლა, პოლიტიკაში ჩარევას არ ვაპირებ. ამიტომ მგონია, ბატონი პრეზიდენტი მიხვდა, რომ უდანაშაულო ვიყავი. მადლიერი ვარ მისი, რადგან 7-წლიანი უკანონო პატიმრობა შემიწყვიტა.

**- თქვენც ფიქრობთ, რომ პრეზიდენტს არავითარი წვლილი არ მიუძღვის თქვენს დაპატიმრება-გასამართლებაში?**

- ვინმემ რომ მითხრას, შენი დაპატიმრების ბრძანება პრეზიდენტმა გასცაო, არ დავიჯერებ, რადგან იგი საერთოდ არ მიცნობდა. მოხდა ასეთი რამ — ძირითადი ფიგურების გასანადგურებლად, მათ წინააღმდეგ აგორებული ბრალდებების გასამყარებლად საჭირო იყო ქვედა ფენების დაპატიმრება. ამიტომ მათთან დაახლოებული წრის წარმომადგენლები დაიჭირეს.



სტუმრად "24 საათის" რედაქციაში

ბესო გულაშვილის ფოტო

ჩემი დაჭერა იმ ხალხს უნდოდა, ვინც მერე თანამდებობი მიიღო, ორდენები დაიკიდა.

**- 29 აგვისტოს აფეთქების შემდეგ შეიქმნილი სიტუაციით თუ შევარდნაძე არა, მაშინ ვინ იყო დაინტერესებული?**

- არ ვიცი. ვფიქრობ, რომ ისინი, ვისაც შევარდნაძის შეცდომაში შეყვანა უნდოდათ. ვიღაცამ, პრეზიდენტისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, კონკურენტი მოიშორა, ვიღაცამ - ბევრის მცოდნე და ასე შემდეგ.

**- დაპატიმრებამდე საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენდით, რომლის გამოყენებაც ხელისუფლების სასარგებლოდ არაერთხელ მოხდა. ახლაც საკმაო შესაძლებლობები და ძალა გაგაჩნიათ, იქნებ თქვენი გათავისუფლება კვლავ გამოყენების მიზნით მოხდა? მით უმეტეს, რომ ახლა პრეზიდენტის მადლიერიც ხართ.**

- არა, ასე არ არის. სერიოზული ძალა არასდროს ვყოფილვარ. ასეც რომ არ იყოს, იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც ჩვენ ციხეში გავატარეთ, მათი ფსიქოლოგები, რომლებიც ჩვენზე მუშაობდნენ, აუცილებლად მიხვდებოდნენ, რომ არ ვართ ის ხალხი, რომელთა ადვილად გამოყენებაც შეიძლება. არა მგონია, არ იცოდნენ, რომ, თუ არ მინდა, ვერასდროს ვერავინ გამომიყენებს. და, საერთოდაც, არა მგონია, ვინმეს ჩემი გამოყენება სურდეს, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არა ვარ ასეთი მნიშვნელობის ფიგურა.

**- თქვენ ამბობთ, რომ უდანაშაულო ხართ. აპირებთ თუ არა რეაბილიტაციის თაობაზე სასამართლოს მიმართოთ?**

- მე მჯერა, რომ ბატონი პრეზიდენტი დამეხმარება რეაბილიტაციაში. თუმცა, ჯერ ამ პროცესის წამოწყებას არ ვაპირებ, უნდა დავრწმუნდე, ღირს თუ არა ამ საკითხის წამოწევა, რადგან ის ხალხი, ვინც მე გამასამართლა, ჯერ ისევ თანამდებობებზეა.

**- ჯერ ალბათ ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ რას აპირებთ მომავალში?**

- იმ პერიოდში, როცა საპყრობილეში ვიყავი, სულ რაღაც ფეთქდებოდა, მაგრამ მე ციხეში ვიჯექი და, ცხადია, ველარ დამბრალდებოდა. ხვალ-ზეგ რომ რაღაც-რაღაცები აფეთქდეს, მე დამიჭირონ, მაწამონ და აღიარება მომთხოვონ, რა ვქნა? ეს ერთხელ უკვე გამოვცადე და აღარ მინდა. ამიტომ, არ მსურს, ვიცხოვრო ასეთ საქართველოში. ქვეყნიდან წასვლას ვაპირებ.



არჩევნები

# ცესკო ბიულეტენებს მაინც დაითვლის

## ამასობაში შეიძლება სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმოს

თამარ მჭედლიშვილი

*დღეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების გადათვლის წესი უნდა მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარის, ჯუმბერ ლომინაძის განცხადებით, სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილმა ჯგუფმა უკვე შეიმუშავა დადგენილების პროექტი. ამის მიუხედავად, ცესკოში ვითარება მაინც დაძაბულია, რადგან სავსებით შესაძლებლია, კომისიამ დალუქული ბიულეტენების გახსნა ვერც კი მოასწროს.*

გასულ კვირას უზენაეს სასამართლოში "ნაციონალური მოძრაობის" სარჩელის განხილვა იმით დასრულდა, რომ სასამართლო კოლეგიამ საოლქო სასამართლოს "სახალხოელებისა" და "ეროვნულ-დემოკრატების" სასარჩელო განცხადებების შესწავლის გაგრძელება დაავალა. ორივე პარტია დიდი ხანია, თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვს. ორი კვირის წინ საოლქო სასამართლომ მათი სარჩელები წარმოებაში მიიღო. თუმცა განხილვა ცესკოს მიერ ბიულეტენების გადათვლის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა. მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ საოლქოს ამ სარჩელების დაუყონებლივ განხილვა დაავალა.

სასამართლო პროცესები, წესით, სამშაბათს უნდა გაიმართოს. თუკი საოლქო სასამართლო რომელიმე პარტიის სარჩელს მაინც დააკმაყოფილებს, მაშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული წესი ყველანაირ აზრს დაკარგავს. მოკლედ, სიტუაცია, რბილად რომ ვთქვათ, საკაოდ კურიოზული და ბუნდოვანია.

ბოლო პერიოდში ცესკოს საკმაოდ გააქტიურებული წევრები აცხადებენ, რომ ბიულეტენებს მაინც გადაითვლიან. ამის მიუხედავად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ერთგვარი დაბნეულობა მაინც შეიმჩნევა და იგი მომავალ სასამართლო პროცესს უკავშირდება.

როგორც "24 საათს" ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეცჯგუფის ხელმძღვანელმა შალვა ბებოშვილმა განუცხადა, **"საოლქო სასამართლოს უმძიმესი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მოსამართლეები. თუმცა, არჩევნების შედეგების გაუქმების საფრთხე რაელურია. თანაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური ფონი, რაც ამ პროცესებს თან სდევს".**

ამასობაში "ნაციონალებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" მხრიდან სულ უფრო ხშირად გაისმის ბრალდებები ეროვნულ-დემოკრატიული და "სახალხო პარტიების" მისამართით. მამუკა გიორგაძესა და ირინა სარიშვილს ისინი სახელისუფლებო დაკვეთის შესარულებაში ადანაშაულებენ. ამის მიუხედავად, ორივე პარტიის წარმომადგენლები ცალსახად აცხადებენ, არჩევნების შედეგები გასაუქმებელია და ამისათვის საოლქო სასამართლოში ბოლომდე იბრძოლებენ.

რეგიონი

# ოზურგეთი თავღია ჭების ქალაქია



ლევან კიკალიშვილის ნახატი

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთიდან

ოზურგეთში, ქალაქის ტერიტორიაზე, თითქმის ყველა საკანალიზაციო და სხვა საკომუნიკაციო დანიშნულების ჭების თუჯის მასიური სახურავები მოიპარეს. ადვილი მისახვედრია, რომ ნაპარევი ქურდებმა ჯართში ჩააბარეს. თავღია ჭები, რომელთაგან რამდენიმეს სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს, დიდ საფრთხეს უქმნის მანქანებსა და განსაკუთრებით ფეხით მოსიარულეებს, რადგან სიბნელეში თუ ფეხი წაგიცდა, შეიძლება მძიმე ტრავმას ვერ გადაურჩე, ან საერთოდ ჭაში ჰპოვო სამუდამო განსასვენებელი. რა თქმა უნდა, ოზურგეთის პოლიციას თუ ქალაქის მესვეურებს ვერ დაავალდებულებ თითოეული ჭისათვის სპეცდაცვის დაყენებას, თანაც უკვე ძლიერ გვიანაა, მაგრამ ხომ შეიძლება ჯართის მიმღებთა გაკონტროლება და იმ ქურდბაცაცების გამოვლენა, რომლებიც ყველაფერს იპარავენ, რისი აღება და წაღება, ანუ მოპარვა შეიძლება.

ეკონომიკა

# თბილისში გარე რეკლამაზე შეზღუდვები დააწესეს

სოფო კვინტრაძე

თბილისში გარე რეკლამის განთავსების წესები შეიცვალა. ცვლილებების ინიციატორები ქალაქის მერია და მთავარი არქიტექტურული სამმართველო არიან. როგორც ქალაქის მთავარი მხატვარი დიმიტრი მოსულიშვილი აცხადებს, ცვლილებები არქიტექტურული ხასიათის იქნება. აქამდე, პრაქტიკულად, არ არსებობდა შეზღუდვები სარეკლამო დაფების განსათავსებელ ადგილებზე. მოსულიშვილის განხცადებით, ხშირად რეკლამის დამკვეთებს სურდათ, თავიანთი რეკლამა განეთავსებინათ ქალაქის კულტურულ ძეგლებთან ახლოს ან ისეთ ადგილებში, სადაც ქალაქის არქიტექტურული იერსახე ირღვეოდა. გარე რეკლამის განთავსების წესებში კი არ არსებობდა შესაბამისი მექანიზმი, რომელიც ამგვარ შემთხვევებს მოაწესრიგებდა.

**"ძალიან რთულია, როცა მოდის რეკლამის განთავსების მსურველი და გეუბნება, რომ უნდა, თავისი პროდუქციის სარეკლამო დაფა სიონთან დადგას. ჩვენ ვცდილობდით, პირადი ურთიერთობებით მოგვეგვარებინა ეს საკითხი და აგვეხსნა, რომ ეს მიუღებელია. ამის გამო ხშირად კორუფციაშიც გვდებდნენ ბრალს – "აი, იმიტომ არ დაგვადგმევინეს ბილბორდი, ფულის აღება სურდათო" და ა.შ. ახლა უკვე რეგლამენტით არის განსაზღვრული ყველა ის ადგილი, სადაც ცალკე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება არ შეიძლება. ეს არის საკულტო ნაგებობების ტერიტორია, ისტორიული ძეგლები, ცალკეული ლანდშაფტური ადგილები",** - აცხადებს ქალაქის მთავარი მხატვარი დიმიტრი მოსულიშვილი.

აკრძალვის კონტურების შემოღების გარდა, ცვლილებები შეეხო, აგრეთვე, რეკლამის განთავსების მსურველთა შერჩევის წესსაც. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს რეკლამის მსურველთა განაცხადებს, შეისწავლის სარეკლამო კონსტრუქციის დადგმის ადგილს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. მოსალოდნელია ტენდერის გამართვაც იმ შემთხვევაში, თუ ერთ ადგილზე რეკლამის განთავსების მსურველთა ორი ან რამდენიმე განაცხადი შემოვა.

გარე რეკლამის დადგმის წესების შეცვლა კიდევ ერთმა ტენდენციამ დააჩქარა.

**"ამ ბოლო ხანებში რეკლამის დამკვეთებს ქალაქში განსაკუთრებით დიდი სარეკლამო კონსტრუქციების დადგმის სურვილი გაუჩნდათ. მაგრამ ხომ არ შეიძლება, აბანოთუბანში დაიდგას ის, რაც დასაშვებია აეროპორტის ტრასაზე? ამიტომ სასწრაფოდ გახდა საჭირო გარკვეული წესების შემოღება, რომელიც სარეკლამო კონსტრუქციებს ზომებს დაარეგულირებს,"** – აცხადებს დიმიტრი მოსულიშვილი.

სარეკლამო კონტრუქციები, რომლებიც წინააღმდეგობაში იქნება ახალ წესებთან, შეიცვლება ან მთლიანად მოიხსნება. სარეკლამო სააგენტოებს მიეცემათ ერთწლიანი ვადა ამ ცვლილებების შესასრულებლად. ამასთან დაკავშირებით, სარეკლამო სააგენტო "მიმინოს" გენერალური დირექტორი ელენე სეხნიაშვილი აცხადებს, რომ **"თუ ამ დოკუმენტებს ექნება რეკლამის კანონთან შესატყვისი ფორმა, ჩვენ მოვალე ვიქნებით, შევასრულოთ."**

უახლოეს მომავალში ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტი, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან ერთად, მუშაობას იწყებს რეკლამის კანონში შესატან ცვლილებების პროექტზე.



*რეკლამა თბილისის ისტორიულ უბანში*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ჩინეთში „გაზის დიდი კედელი" შენდება

თორნიკე შარაშენიძე

ჩინეთის უმსხვილესმა ნავთობკომპანიამ, "პეტროჩაინამ" ისტორიული ხელშეკრულება გააფორმა "როიალ დაჩ შელთან." ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია უზარმაზარი გაზსადენის აგება, რომელიც მთელ ჩინეთს გადაფარავს - დაწყებული ქვეყნის აღმოსავლეთ, დამთავრებული დასავლეთ საზღვრით. ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობის შემდეგ, ეს უდიდესი საინჟინრო პროექტია ამ ქვეყნის ისტორიაში და მას ამ მხრივ მხოლოდ ე.წ. "სამი ხეობის კაშხალი" გაუწევს მეტოქეობას, რომლის განხორციელებაც 25 მლრდ. დოლარი ჯდება.

"პეტროჩაინასა" და "შელის" პროექტი 2004 წელს უნდა დასრულდეს. გაზსადენის სიგრძე 4 ათასი კილომეტრიც იქნება და მისი მეშვეობით ხინიანგიდან შანხაის ყოველწლიურად 12 მლრდ. კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი მიეწოდება.

ამ პროექტში "პეტროჩაინა," რომლის ერთ-ერთი მფლობელი "ბრიტიშ პეტროლეუმ ამოკო" გახლავთ, წილის 50 პროცენტს აკონტროლებს. 15-15 პროცენტი "შელს", "ექსონმობილსა" და რუსულ "გაზპრომს" ეკუთვნით, 5 პროცენტი კი ჩინეთის კიდევ ერთი მსხვილი ნავთობკომპანიის, "სინოპეკისაა." ასე რომ, პეკინი, საბოლოო ჯამში, მაინც ინარჩუნებს კონტროლს გაზსადენზე, რასაც ჩინელები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, როცა საქმე ერთობლივ პროექტს ეხება.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიებიდან პროექტი ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, "პეტროჩაინასთვისაა." ეს უკანასკნელი ხინიანგში - აღმოსავლეთის მთიან რეგიონში, სადაც გვარიანი განუკითხაობა და უკანონობა სუფევს - გაზის უზარმაზარ რეზერვებს აკონტროლებს და ყველა ღონეს ხმარობს, რათა ეს სიმდიდრე მთელ ქვეყანას მიაწოდოს. პროექტი მეტად მომგებიანი იქნება სახელმწიფოსათვის თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ მისი დასრულების შემდეგ ბოლო მოეღება ჩინეთის მრავალ რეგიონში ნახშირის მოხმარებას, რის გამოისობითაც ეკოლოგიური მდგომარეობა უმეტეს ქალაქებში არც ისე სახარბიელოა.

თუმცა, პროექტი ჯერ უნდა განხორციელდეს. ასეთი სიამოვნება კი, ცხადია, ძვირიც ჯდება. კერძოდ, მთლიანი ხარჯი 20 მლრდ. დოლარადაა შეფასებული. აქედან 5,5 მლრდ. თავად გაზსადენზე წავა და მას ძირითადად უცხოელი ინვესტორები დააფინანსებენ. გაზის საბადოებზე ჩასატარებელი სამუშაოები 3,3 მილიარდს წაიღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში ჩინეთთან დაკავშირებით მსოფლიოს ფინანსურ წრეებში საკმაოდ არაერთგვაროვანი ინფორმაცია გაჩნდა, რამაც ზოგს გაზსადენის პროექტი ეჭვქვეშაც დააყენებინა. კერძოდ, ერთ-ერთი ჰონგკონგური საკონსულტაციო ჯგუფი, დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით, ერთობ უსიამო დასკვნამდე მივიდა - ჩინეთის შიდა ვალი გაცილებით უფრო უფრო დიდია, ვიდრე ამას ოფიციალური პეკინი იუწყება. ამან სერიოზული მითქმა-მოთქმა გამოიწვია: მოგეხსენებათ, ჩინეთი დემოკრატიისა და საჯაროობის ოაზისი არაა და იქ ამგვარი მონაცემების გაყალბება მთავრობისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ხოლო თუკი პეკინი ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებს მართლაც ბერავს, ეს ნამდვილად არ არის კარგი ამბავი უცხოელი ინვესტორებისათვის. თუმცა, როგორც ჩანს, "შელმა," "ექსონმობილმა" და "გაზპრომმა" ჰონგკონგელთა გამოკვლევებს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს.

ბოლოს კი ისევ ამ პროექტის უმთავრეს მოთამაშეს, "პეტროჩაინას" მივუბრუნდეთ. ამ კომპანიის მოღვაწეობა ჩინეთის ფარგლებსაც გასცდა. რამდენიმე ხნის წინ "პეტროჩაინამ" მოლაპარაკება წამოიწყო კანადის სიდიდით მეხუთე ნავთობკომპანია "ჰასქი ენერჯისთან" - ამ უკანასკნელის შესყიდვის თაობაზე. თუკი ყველაფერი წარმატებით გასრულდა, ეს უნიკალური გარიგება იქნება ჩინური ბიზნესის ისტორიაში, რომელიც "პეტროჩაინას," დაახლოებით, 4,4 მლრდ. დოლარი დაუჯდება. თუმცა, ჯერჯერობით ამ მხრივ ახალი ინფორმაცია აღარ გამოჩენილა. ჩანს, ჩინური გიგანტიც ბოლო ხანს მთლიანად გაზსადენის საკითხზე იყო გადართული.

# სასმელ წყალი გორისთვის

ვასილ გულეური

გორიდან

შარშან "მსოფლიო ბანკმა" ნახევარი მილიონი დოლარი გამოყო, რაც სოფელ ვარიანიდან გორში სასმელი წყლის გამოყვანას მოხმარდა. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა თბილისის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ შეასრულა. როგორც შპს "წყალკანალის" დირექტორმა კაკო ხუფენიამ გვითხრა, "მსოფლიო ბანკის" წარმომადგენლებმა მოიწონეს მეორე პროექტიც, რომლითაც გათვალისწინებულია გორში I და III სათავე ნაგებობების გაერთიანება, სადრენაჟე სამუშაოების ჩატარება და ვარიანიდან წყლის მოწოდების გაზრდა. ამ სამუშაოებისთვისაც დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი გამოიყოფა. ამჯერად თანხა უშუალოდ შპს "წყალკანალს" ჩაერიცხება.

სწორედ ამის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოისურვა, გაეერთიანებინა შპს "წყალკანალი" და შპს "სოფლის წყალსადენი", რომელიც გორის რაიონის სოფლების წყალმოარაგებას ახორციელებს. **"როგორც ამბობენ, გაერთიანება პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად ხორციელდება, თუმცა მე იგი არ მინახავს",** - გვითხრა კაკო ხუფენიამ. - წავიდა კონკურენცია, დირექტორად სხვა უნდოდათ დაენიშნათ. არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ თანხის მფლობელი შპს იქნება და თავის კაცს სვადნენ განმკარგველად.

გორის რაიონის გამგეობამ გაერთიანების მოთხოვნით მიმართა ქონების მართვის განყოფილებას, რომელიც "წყალკანალის" ქონებას ფლობს, და თავისი კანდიდატურა წარუდგინა. "გამოცხადდა საბუთების მიღება, რადგან კანონით ხელმძღვანელი კონკურსის წესით უნდა შეერჩიათ. სამი კანდიდატურა იყო წარდგენილი, კომისიის შვიდივე წევრმა ჩემს კანდიდატურას დაუჭირა მხარი," - აღნიშნა კაკო ხუფენიამ.

ორი შპს-ს გაერთიანება უკვე დაიწყო. როგორც ბატონმა კაკომ გვითხრა, ამჯერად მიმდინარეობს ობიექტების აზომვა, პასპორტიზაცია, რომელიც ერთ კვირაში დამთავრდება.

"მსოფლიო ბანკის" წარმომადგენლების ვიზიტრის შემდეგ კი, გადაწყდება თანხის გამოყოფის საკითხიც. "მართალია, ჩვენი ქვეყნის დაფინანსება შემცირებულია, მაგრამ წყალთან დაკავშირებით უკან არ იხევენ. ვიცი, რომ ეს ობიექტი მოწონებულია და სამუშაოები განხორციელდება." - იმედოვნებს კაკო ხუფენია.

# ურეკის მაგნიტურმა ქვიშამ პატარკაციშვილიც კი მიიზიდა

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთიდან

ზაფხული ძალაში შედის თუ არა, ოზურგეთის რაიონის ცენტრი დაბა ურეკისაკენ ინაცვლებს - იწყება ახალი საკურორტო სეზონი. უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე მაგნიტურ-ქვიშიანი პლაჟი მართლაც ანდამატივით იზიდავს დამსვენებლებს და, როგორც ქვემოთ შეიტყობთ, არა მარტო დამსვენებლებს.

ყოველ ზაფხულს ახალ იმედებს უკავშირებენ ურეკს, ეს განსაკუთრებით ბიუჯეტის შევსებაზე ითქმის, მაგრამ წლები მიდის, მდგომარეობა კი უცვლელია, თავად ადგილობრივი ბიუჯეტიც ვერ გამართულა წელში, შარშან დეფიციტმა 40000 ლარს უწია. ურეკი ვერა და ვერ მიუახლოვდა თავისი პოტენციური შესაძლებლობების მინიმუმსაც კი. ჯერჯერობით, ვერ განვითარდა კურორტისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც შემოსავლების წყარო უნდა გახდეს. ოზურგეთის რაიონისა და ადგილობრივი გამგეობის ძალისხმევით, წლეულს ზღვაზე 5 მისასვლელიდან 3 მოწესრიგდა, უსახური ჯიხურები და სავაჭრო ფარდულები გაუქმდა, მაგრამ მოუწყობელია ბაზარი, ავტოსადგომი. პანსიონატ "კოლხიდაში" კვლავ სახლობს 50-მდე ლტოლვილი ოჯახი, თუმცა ეს სახლობა ფიქტიური გახდა, რადგან ლტოლვილთა უმრავლესობა თბილისშია, "კოლხიდა" კი აგარაკებად დაიტოვეს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კი ვერ უხდის "კოლხიდას" ათეულ ათასობით ლარის დავალიანებას - ბინების ქირავნობის თანხას. და მაინც, დაბა ურეკის ახლახან ხელმეორედ არჩეული გამგებელი ჯუმბერ ყაზაიშვილი აღტაცებას ვერ მალავს, ამ დღეებში ურეკს თავად ბადრი პატარკაციშვილი სწვევია. ქართველ ბიზნესმენს სერიოზული გეგმები ჰქონია კურორტის აღმშენებლობისა, რაც ზედ ზღვისპირას წამოჭიმული ვანო ჩხარტიშვილის ცოლისძმის უზარმაზარი სახლისა და ამ სახლისა თუ სასახლის მარჯვნივ და მარცხნივ არსებული ნაგებობების შეძენით დაუწყია. ოზურგეთის გამგეობაში მისული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბატონი ბადრის უკიდეგანო ქისა სულ რაღაც 250000 დოლარით შეთხელებულა. როგორც გამგებელი აცხადებს, პატარკაციშვილს საკმაოდ კონკრეტული გეგმები აქვს, რათა ურეკმა თანამედროვე კურორტის სახე მიიღოს, ეს კი მოიცავს ყველაფერს - დაწყებული პლაჟის ქვიშის გაცრიდან, დამთავრებული საკურორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფით, საერთაშორისო სტანდარტებამდე მიყვანით, ანუ ურეკში შეიქმნება წინაპირობა იმისა, რომ აქ უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების სქელი ჯიბიდან თანხებმა საბიუჯეტო შემოსავლებში გადაინაცვლოს.

ეს მომავლის საქმეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავლისა, ჯერჯერობით კი, კურორტის ცხოვრება ძველი, ნაცნობი კალაპოტით მიედინება. კერძოდ, ურეკისაკენ მიიწევს პოლიცია, საგადასახადო, სანიტარული ინსპექცია, სხვა შემმოწმებელ-მაკონტროლებლები, მოკლედ, თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვა. ფული ახლა მხოლოდ ურეკში ტრიალებს.

საკურორტო საზონის მანძილზე ურეკში გახშირდება ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების მაღალჩინოსანთა ვიზიტებიც, ურეკში ხომ ამ დროისთვის თბილისიდან პარლამენტართა , მთავრობის კაცთა თუ კანცელარიის მოხელეთა ცოლშვილიც გამოსწევს. მასპინძლებიც პირს ვერ შეირცხვენენ-საპატიო სტუმრებს ხშირი და ხელდამშვენებული მასპინძლობა უნდა. ასე რომ, ოზურგეთი-ნატანები-ურეკის ულმერთოდ დაქცეულ გზებზე ჯაჯგური საკურორტო სეზონისათვის თანამდევი სახადი იქნება ადგილობრივ წარჩინებულ გვამთათვის, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლონ და ამით საკუთარი სკამის გამძლეობა უზრუნველყონ.

## კრიმინალი

### ინციდენტი ბუკიას ბაღში

თბილისის ცენტრში, საბურთალოზე, ბუკიას ბაღში ინციდენტი მოხდა. ახალგაზრდების კამათი სერიოზულ ჩხუბში და დანების ტრიალში გადაიზარდა. ხელჩართული ჩხუბის დროს ერთ-ერთმა ორი მოწინააღმდეგე დაჭრა. დაზარალებულებს, 16 წლის თორნიკე ბახტაძესა და 17 წლის გოგიტა ყულოშვილს, ჭრილობები დანით მუცლის არეში აქვთ მიყენებული და ამჟამად თბილისის რესპუბლიკურ კლინიკურ ცენტრში მკურნელობენ. ცაგერის რაიონის სოფელ ქვემო ცაგერის მკვიდრი კობა მდივანი კი შემთხვევის დღესვე დააკავა ვაკე-საბურთალოს პოლიციამ და მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს პროკურატურა გამოიძიებს.

### ყოფილი უფროსის შეცდომებს ასწორებენ

მარნეულის ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან მებრძოლი ქვეგანყოფილების, აწ უკვე ყოფილი უფროსის, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პოლიციის მაიორის, მურთაზ შეროზიას, კანონიერ ქურდებთან ერთად, ნარკოტიკებით სავსე მანქანაში დაკავებას პოლიციის ამ ქვეგანყოფილებამ აქტიური მოქმედებით უპასუხა. როგორც ჩანს, უფროსის დანაშაულის ოდნავ მაინც გასანეიტრალებლად და გატეხილი სახელის აღსადგენად, ისინი ნარკოტიკული თვისებების მატარებელ მცენარეებს დაერივნენ და მარნეულში, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ჩამომავალი მდინარე ალგეთის ნაპირას 480 კგ. ველურად მზარდი კანაფი გაანადგურეს.

### სამტრედიაში ორი ქურდი დააკავეს

5 ივლისი სამტრედიის პოლიციელთათვის ნაყოფიერი დღე გამოდგა. მათ ორი დამნაშავე დააკავეს. პირველი — სამტრედიელი ვახტანგ სტურუა ქურდობისთვის მოიხდის სასჯელს. მან თანამოქალაქე ზურაბ ხაჟალიას ბინა გაქურდა. მეორე კი სომხეთის მოქალაქე გახლავთ. სტეფანეკერტელ არმენ მიქოიანსაც ქურდობა ბრალდება. მან თბილისი-ოზურგეთის სამგზავრო მატარებელით მგზავრობისას, იანეთი-სამტრედიის სარკინიგზო გადასარბენზე გაქურდა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში მცხოვრები ილარიონ მგელაძე და კობა სალუქვაძე. მიქოიანს ნაქურდალი ნივთები ხელზე აღმოაჩნდა.

### პარტიზანმა თავი მოიკლა

ერთ-ერთი პარტიზანული დაჯგუფების წევრმა, შინაგანი ჯარის ტყიბულის ბატალიონის ყოფილმა მებრძოლმა, გოჩა არონიამ 30 ივნისს, დღისით საკუთარ ბინაში პისტოლეტით თავი მოიკლა.

როგორც „მედია-ნიუსი" იტყობინება, თანამებრძოლები გოჩა არონიას თავიანთი რაზმის წევრის, ელდარ კვარაცხელიას მკვლელობას აბრალებდნენ. ელდარ კვარაცხელია 2001 წლის დეკემბერში დაიღუპა. არონიას თანამებრძოლები აცხადებენ, რომ ამ უკანასკნელმა კვარაცხელია გაუფრთხილებლობით მოკლა.

პარტიზანთა თქმით, კვარაცხელია და არონია შარშან დეკემბერში ერთ-ერთ ოპერაციაში მონაწილეობდნენ. ჩასაფრებაში მყოფი კვარაცხელია გასროლის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

არონიას მალევე დააბრალეს, რომ კვარაცხელია მისი იარაღიდან ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ კვარაცხელია ე.წ. „ბრმა ტყვიის" მსვერპლიც გამხდარიყო.

სარწმუნო წყაროს ცნობით, არონიამ ვერ დაამტკიცა, რომ თანამებრძოლი არ მოუკლავს და აფექტურ მდგომარეობაში თვითმკვლელობა ჩაიდინა.

### შეწყალება პოლიტიკური მოტივით

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შს ყოფილი მინისტრი თემურ ხაჩიშვილი, ინტერპოლის მიერ ძებნილი უშიშროების ექსმინისტრის, იგორ გიორგაძის დაცვის ყოფილი უფროსი გურამ პაპუკაშვილი და მაშველთა კორპუსის ყოფილი თავმჯდომარე გიგა გელაშვილი "საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო" შეიწყალა.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" მამუკა გიორგაძემ უთხრა, პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, პრეზიდენტი ამ პირებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენებს.

"შევარდნაძე ამის ოსტატია", - დასძინა მან.

მამუკა გიორგაძის თქმით, გიორგი ჭანტურიას თანამებრძოლები არ არიან დარწმუნებულნი, რომ მის მკვლელობაში ხაჩიშვილი და გელაშვილი მონაწილეობდნენ, რადგან მტკიცებულებები არ იყო დამაჯერებელი, მაგრამ თუ ამაში პრეზიდენტია დარწმუნებული, მაშინ იგი ჭანტურიას ნათესავებს "მაინც უნდა დალაპარაკებოდა", როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებდა.

### გალელი პოლიციელი კანონიერ ქურდს ემალება

მდინარე ერისწყალთან, სოფელ მეორე გუდავასა და პრიმორსკოეს შორის არსებულ აფხაზურ საგუშაგოსთან, რამდენიმე დღის წინათ კონფლიქტი მოხდა გალის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილეს, ვალერი ბოგუასა და ტყვარჩელის რაიონის მკვიდრ, კანონიერ ქურდ, ვინმე ჟიბებს შორის. როგორც "მედია-ნიუსი" იუწყება, ბოგუამ კანონიერი ქურდი და მისი თანმხლები პირები ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა. დაზარალებულები ოჩამჩირის რაიონულ საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი. ერთ-ერთი მათგანი ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობაშია. გალის პოლიციის უფროსის მოადგილე კანონიერი ქურდის ნათესავების მხრიდან შურისძიების შიშით იმალება.

# "წითლები" გაიფიცნენ

## ტაქსის მძღოლებმა რუსთაველის გამზირი გადაკეტეს



*გადაკეტილი რუსთაველის გამზირი*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თამარ მაისურაძე

გუშინ, პარლამენტის წინ ტაქსის მძღოლებმა გზა გადაკეტეს. აქციას, რომელიც წითელი ტაქსების მძღოლების თაოსნობით მოეწყო, მოგვიანებით დანარჩენი მძღოლებიც შეუერთდნენ. წითლები თავიანთი არაბ მეპატრონისგან ხელშეკრულებაში ჩადებული პირობების შესრულებას ითხოვდნენ, დანარჩენები კი 10-ლარიანი ლიცენზიის 60 ლარამდე გაძვირების წინააღმდეგნი იყვნენ.

რაც შეეხება აქციის წევრთა პირველ ნაწილს, როგორც გავიგეთ, ტაქსის მძღოლებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ეს უკანასკნელნი ვალდებულნი ყოფილან, 4 წლის განმავლობაში, თავიანთი მეპატრონისთვის ყოველდღიურად 24 დოლარი გადაეხადათ. 4 წლის შემდეგ კი, მანქანა მათ საკუთრებაში გადავიდოდა. **" ეს პირობა ვინც შეასრულა, მანქანა მისცეს,"** – გვითხრა წითელი ტაქსის მძღოლმა.

ინფორმაციამ ლიცენზიის გაძვირების შესახებ მძღოლებს დიდი პრობლემა შეუქმნა. **"ძველ ლიცენზიას გაუვიდა ვადა. ახალს ჯერ არ მაძლევენ, 10 ივლისამდე მოიცადეო. ინსპექტორები კი დაგეშილები არიან, გვაჩერებენ, ლიცენზიას გვთხოვენ და ჩვენც იძულებულები ვართ, ფული მივცეთ,"** – გვითხრა ერთ-ერთმა ტაქსისტმა.

**"დღეს, ტაქსზე უმეტესად პენსიონერები მუშაობენ. 60 ლარი როგორ უნდა გადაიხადონ? არსებობა ხომ უნდათ? ეს ყაჩაღობაა და მეტი არაფერი. ტაქსაობას ის იწყებს, სხვა გამოსავალი რომ აღარ რჩება. ორი დიპლომი მიდევს სახლში, მაგრამ ტაქსზე ვმუშაობ, აბა რა ვქნა? ქურდობა არ შემიძლია. ამდენს არავინ გადაიხდის და ამ ამბავსაც ასე არავინ დატოვებს,"** – გვითხრა სხვა მძღოლმა, რომელმაც პირველის მსგავსად, ვილაცის შიშით, არ გვითხრა სახელი და გვარი, - **"რას ამბობ, აქ ისეთი მაფიაა, ყველას მოგვძებნიან, ორ კაპიკს ვშოულობ და ისიც უნდა დავკარგო".**

პოლიციამ აქცია მუქარით დაშალა. თვითმხილველთა თქმით, მათ ყველა მანქანის ნომერი ჩაუწერიათ, რის გამოც შეშინებული მძღოლები აქეთ-იქით მიმოფანტულან.

## თვალსაზრისი

# სიყვარულმა აგვამაღლოს

## თეიმურაზ შაშიაშვილის წერილი „24 საათს"

**გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს.**

დარწმუნებული ვარ, გაქვთ ინფორმაცია რწმუნებულის ინსტიტუტთან დაკავშირებით პარლამენტში და მის გარეთ განვითარებული მოვლენების თაობაზე. არც ბუნებაში და არც საზოგადოებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ასე წარმატებულად საქართველოში მტრის სასარგებლოდ არასდროს დავქუცმაცებულვართ და ერთმანეთს არასოდეს დავსევივართ. ისტორიულად ქართველები ქვეყნისათვის მძიმე ჟამს ერთმანეთს ძალას აძლევდნენ, დღეს პირიქითაა, საკუთარი ამბიციების გამო ერთმანეთის ღირსებას ვლახავთ, ქვეყანა უკიდეგანო ლანძღვის არენად იქცა, შევქმენით სასოწარკვეთილების გარემო, რომელიც ძალას ართმევს ხალხს, ქვეყანას, პოლიტიკოსებს, ხელისუფლებას.

დღეს ადვილია ოპოზიციონერობა. უპირველესად იმის გამო, რომ მთავარია, ლანძღვა შეგეძლოს, არავინ იცის, მლანძღავი რისი გამკეთებელია. იმის გამოც ადვილია ოპოზიციონირება, რომ, სამწუხაროდ, ხალხში დიდი გასავალი აქვს. "თუ შევარდნაძეს ლანძღავ – კაცი ხარ, თუ არა – მოღალატე."

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, როცა ხელისუფლება ოპოზიციის წარმომადგენლებზე სიმართლეს ამბობს - ხალხის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ტყუილია, ხოლო როგორი ტყუილიც არ უნდა თქვას ოპოზიციამ ხელისუფლებაზე – ხალხს მართალი ჰგონია. ეს არ არის მარტივი სიტუაცია. ქვეყნისთვის ეს განწყობა შეიძლება დამანგრეველი გახდეს. ეს განწყობა ვიგრძენი გუშინ პარლამენტართა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა (არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს მათი პარტიების პოზიციაა) გამოსვლებში.

როგორი უზნეო უნდა იყოს კაცი, რომელიც თავს იკლავს ერთ რეგიონს ავტონომიის უფლება მიენიჭოს და ასევე თავგამოდებით იბრძვის, არ არსებობდეს იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, კახეთის, სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის გამომხატველი დასახელება. გასაოცარია, როცა მთელი ევროპა რეგიონალიზმის განვითარებაზე ფიქრობს, ამერიკის შეერთებული შტატები ამის კლასიკური მაგალითია, როცა ჩვენს მეზობელ სომხეთში ისტორიულად არ არსებობდა და რეგიონები დღეს შექმნეს – საქართველოში ამას ებრძვიან.

დავაკვირდეთ – აქტიურობს რამდენიმე კაცი აჭარიდან, უფრო სწორად, "აღორძინებიდან", რადგანაც იციან – ამ გადაწყვეტილებით იმერეთი ავტომატურად გაირიცხება ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრობიდან, რომელშიც შესვლა აჭარისათვის სასწაულად მოინათლა. საქართველოდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, იმერეთი მაინც მიიღეს. ამისათვის მადლობა უნდა ვუთხრათ ევროპის რეგიონებს. თუ რწმუნებულის ინსტიტუტი გაუქმდება, კანონით იმერეთი გაირიცხება – დარჩება მხოლოდ აჭარა, ეს მაშინ, როცა სხვა რეგიონების გაწევრიანებაზე უნდა ვფიქრობდეთ.

არ არის სამარცხვინო?

დარწმუნებული ვარ, აჭარის მოსახლეობის უმეტესობა ასე ფიქრობს. ეს არის ქვეყნის სიძლიერე.

სიძლიერეა, როცა აჭარის მოსახლეობა კეთილ განწყობას გამოხატავს საქართველოს სხვა რეგიონებისადმი.

მეამაყება, როცა აფხაზეთის მწერალთა კავშირის სახელით სოხუმში გამაკრიტიკეს, აფხაზეთი და აჭარა ერთმანეთის გვერდით როგორ დაასახალე, აფხაზეთი სხვაა და აჭარა სხვა, იგი რელიგიური ნიშნით არის შექმნილიო, - აჭარის სასარგებლოდ მე ჩემი პოზიცია მწვავედ გამოვხატე. სხვა პოზიცია არასდროს მქონია, იმ ადამიანებისაგან განსხვავებით, ვისაც აჭარა სჭირდება. მე აჭარა მიყვარს. უდიდესი სიყვარულია აჭარისადმი მთელ იმერეთში.

დრო ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ადამიანები, რომლებმაც გაუგონარი ტყუილი მოიგონეს იმერეთისა და სამეგრელოს დასაპირისპირებლად, ბოდიშის მოხდის ნაცვლად, იგივეს განაგრძობენ. ამის დასტური იყო იმერეთში სამეგრელოს დღის აღნიშვნის მეორე დღეს, ქუთაისში ჩემს წინააღმდეგ ცალკეული პიროვნებების ხელშეწყობით განვითარებული მოვლენები. ასეთებისგან დაზღვეული არც მომავალში ვართ, მით უფრო, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების ხელში, მაგრამ არსებობენ წესიერი კაცებიც, არსებობს წესიერება და ყველაფერი ბენზინსა და ფულში არ იცვლება.

უზნეობა და არეულობისაკენ მოწოდება არ არის, რწმუნებულებს პენსიონერთა ხელფასებში ხელის ფათური დააბრალო? თვითონაც იციან, მაგრამ ხომ შეიძლება ეს თოთხმეტლარიანმა და რამდენიმე თვე პენსიამიუღებალმა პენსიონერმა ირწმუნოს და უბედურებაც დაიწყოს?

უზნეობა არ არის, როცა თავს სასამართლო რეფორმით იქებ, ხოლო, როცა რეფორმირებული სასამართლო შენთვის არასასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს – რეფორმა გაიწყდება და ხელს უკვე სხვისკენ გაიშვერ?

უზნეობა არ არის, როცა ყველაფერს დანიშვნის სისტემას აბრალებ, არადა უმეცარი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ძალების მიერ არჩევნების პროცესის კრიმინალიზაცია მოხდა და ხელისუფლებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელთა არჩევა კი არა, ხელისუფლებასთან ახლოს მიკარებაა დანაშაული? საშიშია არა ქურდი და კრიმინალი, არამედ ხელისუფლებაში მათი შემწეობით მოსული, ის, ვისაც მათ გარეშე არც ხელისუფლებაში მოხვედრა და არც ხელისუფლებაში ყოფნის შენარჩუნება შეუძლია.

დემოკრატია არჩევნები კი არა, დემოკრატიული კანონია და მისი აღსრულების ურყევი ნება ხელისუფლებაში, კანონმორჩილი განწყობის დამკვიდრება მოსახლეობაში, ადამიანში.

განა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გუბერნატორები არ ინიშნება? თუნდაც, ბელგიაში, სადაც ევროპული სტრუქტურების დიდი ნაწილია განლაგებული? განა არ ვიცით, ჰოლანდიის მიღწევები ადამიანთა უფლებების დაცვის, დემოკრატიის განვითარების, ცხოვრების დონის თვალსაზრისით და ის, რომ ჰოლანდიაში მერებს და გუბერნატორებს ნიშნავენ და არ ირჩევენ?

ყველაფერი ეს ვიცით, ვიცით ძალიან კარგად, ყველაზე მყვირალა და პოპულისტ პოლიტიკოსს ჰოლანდიელი მეუღლე ჰყავს. მაგრამ როცა ეს ხალხი ხელისუფლებაში იყო და ყველა ხასიათის გადაწყვეტილებას იღებდა, მაშინ დანიშვნა იყო კარგი და ამ პრინციპს თავგამოდებით იცავდა. დღეს ოპოზიციაშია და მხარს არჩევას უჭერს. მე იმით ვარ ბედნიერი, რომ მუდამ არჩევნების მომხრე ვიყავი და 1990 წელს ქალაქკომის პირველ მდივნადაც კი მთელი ქალაქის მიერ დამოკიდებულების გამოხატვის შემდეგ მივედი და არა პარტიული პლენუმის გადაწყვეტილებით. ეს იმ პერიოდში საწაულად მოინათლა. დღესაც არჩევნების მომხრე ვარ, მაგრამ არა ისეთი სულელური კანონით, როგორიც ყოფილმა უმრავლესობამ მიიღო.

გადავწყვიტოთ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული, ავირჩიოთ ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც რეგიონალიზმის იდეის ერთგულებით არის ჩაწერილი საქართველოს კონსტიტუციაში და შემდგომ ნამდვილი არჩევნებით, როცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი მაინც მიიღებს მონაწილეობას და არჩევნებზე მისულთა ნახევარზე მეტი მაინც იქნება საჭირო გამარჯვებისთვის.

ნაცვლად ამისა, პარლამენტის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ნიშანდობლივია, გამგებლის დანიშვნის დროს – ვიწყებთ ბრძოლას რწმუნებულების ინსტიტუტის წინააღმდეგ და ვიმუქრებით არეულობით.

დაქადნება ასეთია: "თუ ჩემი პარტიის წარმომადგენელს არ დაუჭერთ მხარს – ვიბრძოლებთ რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმებისათვის".

ერთი პარტია ამას – ხარაგაულის, მეორე – საჩხერის, მესამე – ვანის, მეოთხე – ხონის, მეხუთე – ბაღდათის, მეექვსე – ჭიათურის, მეშვიდე – ზესტაფონის, მერვე – სამტრედიის გამგებლად მათი წარმომადგენლის არდანიშვნის შემთხვევაში გვემუქრება. ასე რომ, წარმატებულად შეუტევენ რწმუნებულის ინსტიტუტს, მაგრამ მე არავითარ კომპრომისს არ ვაპირებ.

თანამდებობის შენარჩუნებას ულირსი, პოლიტიზირებული და ცალკეული პარტიული კლანების ინტერესთა დამცველი კაცის რეკომენდირებით არ ვაპირებ. ეს ულირსი და უზნეო საქციელი, იმერეთის ქალაქებისა და რაიონებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება იქნებოდა. სწორედ ამიტომ მივიღე უპრეცედენტო გადაწყვეტილება და გამგებლების შერჩევის მთელი პროცესი – სამეცნიერო დაწესებულებების, უნივერსიტეტის და ინსტიტუტების, მეცნიერების, ხელოვნების, განათლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს მივანდე. გაზეთში გამოვაქვეყნე განკარგულების პროექტი და ექსპერტთა მონაწილეობით დავხვეწე. გადაწყვეტილება მივიღე პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით, თავისუფალი დასწრებით - ბოლო შეკითხვამდე. ასევე ღიად მიმდინარეობს კანდიდატთა პროგრამების განხილვა.

მწამს და მჯერა, თუ გვინდა ხალხში იყოს ხელისუფლების ნდობა, ამის გარეშე კი აღმშენებლობა შეუძლებელია, ხალხს, მის აბსოლუტურ უმრავლესობას, უნდა სწამდეს, რომ ქალაქის, რაიონის ხელმძღვანელი წესიერი კაცია, ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით.

მწამს და მჯერა: საჭიროა სისტემა – როცა მხარდაჭერილია ძლიერი, როცა ქვეყანა დგას არა სუსტზე, არამედ ძლიერზე, მოაზროვნეზე, ზნეობრივზე, სახელმწიფო კაცზე, მშენებელ და აღმშენებელ პოლიტიკოსზე.

ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა ეს სისტემა მეცნიერულ აზრზე დაყრდნობით ყალიბდება და, როცა ხელისუფლებაში მეცნიერული ორიენტაციის ადამიანები არიან.

სწორედ ამიტომ მივიღე ის გადაწყვეტილება, რომელიც ასეთი განკიცხვის საგანი გახდა. დიდი სურვილი მაქვს, გამოვაქვეყნოთ ჩემი განკარგულება. ხალხმა განსაჯოს, არის თუ არა იგი კანონიერი და ეს პრინციპი სჯობია თუ არა საკითხის კაბინეტში გადაწყვეტას.

მეამაყება, რომ ორშაბათს, ორ საათზე – მეცნიერ-ექსპერტთა დიდი ჯგუფი თავის მოსაზრებებს პირდაპირი სატელევიზიო გადაცემის პირობებში მოახსენებს პრესის, ტელევიზიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამხედრო სათათბიროს. გამგებლების კანდიდატურები პრეზიდენტთან წარსადგენად ასე შეირჩევა და არ დაინიშნება, როგორც ამას ზოგიერთი პარლამენტარი ამბობს, განსაკუთრებით იმ რეგიონიდან, სადაც უმაღლესი თანამდებობები მამა-შვილს და ნათესავებს უჭირავთ.

და კიდევ ერთი: კარგი იქნება, რწმუნებულის ინსტიტუტზე იმ ადამიანებმა ისაუბრონ, რომელთაც გამგებლების თავისი კანდიდატურები არ ჰყავდათ. ისაუბროს მან, ვინც მომდევნო არჩევნებში არ მონაწილეობს. ისაუბრონ მხოლოდ მათ, ვისაც პარლამენტში თუ თანამდებობაზე მოსვლის შემდგომ არც სახლი შეუძენია, არც მანქანა, არც რაიმე აქვს პრივატიზებული, არც ბანკებში არ აქვს თანხები. კარგი იქნება, გამოაქვეყნოთ ჩემი ხელწერილი, რომელიც დიდი ხანია უკვე დაიბეჭდა გაზეთ "იმერეთის მოამბე"-ში. ვიცი, მის განქიქებასაც დაიწყებენ, მაგრამ გამოაქვეყნეთ დეპუტატებისაც, აღმსრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაც და ჩააბარეთ ოფიციალურად თანამდებობის პირთა ქონებრივ, საფინანსო და საინფორმაციო ბიუროს.

ვფიქრობ, ყველა წესიერი კაცი დაუჭერს მხარს ამ წინადადებას. არ მეეჭვება, მოსახლეობაც დაადასტურებს, რომ, ვინც თანამდებობაზე, პარლამენტში მისვლის შემდეგ შეიძინა სახლი, მანქანა, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მოახდინა, ბანკში ანგარიში აქვს უკანონო გზით ნაშოვნი ფულით, ეს ადამიანები ყველაზე საშიში იმით არიან, რომ ვერ იტანენ წესიერ კაცს და ებრძვიან მას.

ჩენი პოზიცია ურყევია – დღეს ხელმძღვანელობაში არ უნდა დარჩეს პიროვნება, რომელმაც უკანასკნელი უმძიმესი ათი წლის განმავლობაში სახლი ააშენა, მანქანა იყიდა, ობიექტები ჩაიგდო ხელში, ბანკში ფული აგროვა.

ჩემი პოზიცია ურყევია იმიტომაც, რომ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელთა აპარატებში არ უნდა იყვნენ პიროვნებები, რომელთა ოჯახის წევრები დღევანდელი საქართველოსთვის ისეთ სახელგატეხილ ბიზნესში არიან ჩართული, როგორიცაა ბენზინის, ჯართის, ხეტყის, წამლის, ფქვილისა და ხორბლის, ბარკლის და საერთოდ, ქვეყნის გარედან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა.

ვფიქრობ, ამ პოზიციას მოსახლეობის უმრავლესობა გაიზიარებს. სწორედ ასეთ პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს გამგებლების შერჩევის პროცესი. პროგრამებს საფუძვლად ყველა დონის საკრებულოს წევრებისადმი ორი პრინციპული ხასიათის მიმართვა უდევს:

პირველი: ანტიკორუფციულ ღონისძიებათა საფინანსო-საბიუჯეტო ბერკეტების შესახებ;

მეორე: აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითი ორგანოების აპარატების რეორგანიზაციის აუცილებლობისა და ზოგიერთი პრინციპის შესახებ.

ერთიც და მეორეც გაზეთ "იმერეთის მოამბის" 28 ივლისის ნომერში უკვე გამოქვეყნდა. ბევრი მიხვდა, რატომ ატყდა აჟიოტაჟი, რატომ უჭირს ბევრ პოლიტიკოსს, დეპუტატს თუ სხვა ხელმძღვანელს ჩვენს პოზიციებთან შეგუება.

ჩემი აზრით, ბევრმა ამ მასალაში ამოიკითხა სიტუაციის შეცვლის კეთილი ნება და ისიც, რომ საქართველოში მდგომარეობის შეცვლა არ არის ძნელი, თუ ორიენტაციას წესიერ ადამიანებზე, სახელმწიფო კაცებზე ავიღებთ. ამ დოკუმენტებით შეიძლება დავიწყოთ დიდ დისკუსია ქვეყანაში სახელმწიფო მოწყობაზეც, ეკონომიკაზეც და ანტიკორუფციულ საფინანსო-საბიუჯეტო ბერკეტებზეც. ვფიქრობ, ეს უფრო მთავარია, ვიდრე დაპირისპირება.

დაპირისპირება სუსტების მოგონილია და მე მისი ინიციატორი არასოდეს ვიქნები.

ქართული სიბრძნე და ტრადიცია იყო – სულმოკლეს სულმოკლეობით არ ებრძოლო, სიძულვილს სიძულვილით არ უპასუხო – ქვეყანას სულგრძელი ადამიანები, სიძულვილისგან თავისუფალი და სიყვარულით სავსე ადამიანები გადაარჩენენ.

სიყვარულით სავსე კაცმა, პოეტმა, ოთარ მამფორიამ – სულგრძელობით და სიყვარულით გამორჩეულ კაცზე – ოთარ სულაბერიძეზე თქვა: სიძულვილის კენჭი რომ გესროლა, სიყვარულის ლოდს დაგახვედრებდაო.

დიდი ფილოსოფიაა.

ასეთ ქართველებს შეუძლიათ ქართველობის გადარჩენა.

სიყვარულმა აგვამაღლოს!

*თეიმურაზ შაშიაშვილი*
*5 ივლისი, 2002 წელი*

# დიქტატორები მიდიან - პინოჩეტის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჩილეში სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას მოელიან

*მსოფლიო პოლიტიკაში მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და წინააღმდეგობრივი დიქტატორი პოლიტიკას სამუდამოდ დაემშვიდობა*

ჩილეს ყოფილმა დიქტატორმა, 86 წლის აუგუსტო პინოჩეტმა ჩილელი ერისადმი მიწერილ ღია წერილში უარი განაცხადა "მუდმივი სენატორის" ტიტულზე და საბოლოოდ დატოვა ჩილეს პოლიტიკური სცენა. მისი წერილი გაზეთებმა პარასკევს გამოაქვეყნეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს საბოლოოდ დასრულდა პინოჩეტის თითქმის ოცდაათწლიანი ეპოქა ჩილეს პოლიტიკაში.

თავის მიმართვაში პინოჩეტმა განაცხადა, რომ პოლიტიკიდან "სუფთა სინდისით" მიდის. მან აღიარა, რომ პოლიტიკურ სცენაზე მისი მოღვაწეობა საზოგადოებაში დაპირისპირებას იწვევდა, მაგრამ უარყო თავისი ლიდერობით ხალხისთვის მიყენებული რაიმე ზიანი. თავისი მოღვაწეობა მოხუცმა დიქტატორმა "ჯარისკაცურ თავგანწირვად" შეაფასა.

ყოფილი დიქტატორის ოჯახმა, მეგობრებმა და ექიმებმა პინოჩეტი აიძულეს, პოლიტიკიდან წასულიყო მას შემდეგ, რაც სამედიცინო ექსპერტიზამ პინოჩეტი, ასაკობრივი გონებასუსტობის ნიადაგზე, არაქმედითუნარიანად მიიჩნია. ამ დასკვნის საფუძველზე სასამართლომ იგი გამოძიებისაგან გაათავისუფლა.

პინოჩეტმა საკუთარი თავი სენატორად ჯერ კიდევ ჩილეს დიქტატორობის დროს დანიშნა იმ მიზნით, რომ ხელშეუხებლობის გარანტია მიეღო. 1973 წელს, სამხედრო გადატრიალების შედეგად პინოჩეტის ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ, ჩილეში ათასობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. პინოჩეტის მმართველობა 1990 წლამდე გაგრძელდა და დისიდენტების წინააღმდეგ სისხლიანი რეპრესიებით იყო გამორჩეული. პინოჩეტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ე. წ. "სიკვდილის ქარავნის" ინციდენტთან დაკავშირებით, რომლის დროსაც პინოჩეტის დამსჯელმა რაზმმა 75 მემარცხენე დისიდენტის გაუჩინარებაში მიიღო მონაწილეობა. ამ სისხლიანი ინციდენტის გამო უკანასკნელ წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პინოჩეტის დევნა უშუალოდ ჩილეში შეუძლებელი იყო, ამიტომ გამომძიებლებმა მისი დაკავება საზღვარგარეთ სცადეს. თითქმის ორი წლის განმავლობაში პინოჩეტი დიდ ბრიტანეთში საავადმყოფოს აფარებდა თავს, სადაც, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. ესპანეთის სასამართლოსთვის მის გადაცემას უშედეგოდ ცდილობდა ესპანელი გამომძიებელი ბალთაზარ გარსონი. მოგვიანებით პინოჩეტმა მაინც მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, სადაც ხელშეუხებლობის მეტი გარანტია ჰქონდა. მაგრამ, საერთაშორისო და ჩილეს საზოგადოების ზეგავლენით, მის წინააღმდეგ საქმის წარმოება არ შეწყვეტილა. ჩილელმა მოსამართლემ, პატრისიო გუსმანმა პინოჩეტის დიდი ხნით დაპატიმრება მოითხოვა.

ამ ჩიხიდან გამოსავალი პინოჩეტის ოჯახმა და მისმა პოლიტიკურმა მომხრეებმა მაინც მოძებნეს და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას მიაღწიეს, რომლის მიხედვითაც "გონებასუსტმა" პინოჩეტმა გასამართლება თავიდან აიცილა. სამაგიეროდ, მას სენატისა და მუდმივი სენატორის წოდების დათმობა მოუწია.

პინოჩეტის გარშემო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებმა საგრძნობლად შეარყია არა მარტო ყოფილი დიქტატორის ჯანმრთელობა, არამედ მისი პოლიტიკური გავლენაც. მართალია, მოსახლეობის დიდი ნაწილი პინოჩეტს სისხლიან დიქტატორად მიიჩნევს, მაგრამ ჩილელების მესამედი ჯერ კიდევ ემადლიერება მას მარქსისტული საფრთხის არიდებისათვის.


ავგუსტო პინოჩეტი პოლიტიკიდან მიდის
REUTERS

# უმცროსი ბუშის ვენდეტა - ერაყი თავდასხმის არიდებას არ ცდილობს ან ვერ ახერხებს

ვენაში უშედეგოდ დამთავრდა გაერო-ს გენერალური მდივნისა და ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის მოლაპარაკებები. გაერო ერაყში შეიარაღების საერთაშორისო ინსპექტორების დაბრუნებას მოითხოვს, მაგრამ ერაყის მთავრობის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდება.

გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორებმა ერაყი სამ-ნახევარი წლის წინ მიატოვეს და მას შემდეგ თავიანთი მისია აღარ განუახლებიათ. შესაბამისად, გაერო-ს ერაყის წინააღმდეგ გამოცხადებული აქვს ეკონომიკური სანქციები, რომელიც ბაღდადს ნავთობის ექსპორტს უკრძალავს.

ერაყსა და გაერო-ს შორის უთანხმოების ძირითადი მიზეზი ისაა, თუ რა უნდა განხორციელდეს პირველად – ერაყის შეიარაღების ინსპექტირება, თუ საერთაშორისო სანქციების მოხსნა. ერაყი მიიჩნევს, რომ ინსპექტორების დაშვება მხოლოდ სანქციების მოხსნის შემდეგ გახდება შესაძლებელი. გარდა ამისა, ბაღდადის მთავრობა ცდილობს, მსოფლიო თანამეგობრობამ ყურადღება შეერთებული შტატების სულ უფრო აგრესიულ განცხადებებს მიაქციოს, რომლებიც ერაყის წინააღმდეგ ომისათვის ამზადებს მსოფლიო თანამეგობრობას.

გუშინწინ ამერიკულმა "ნიუ-იორკ თაიმსმა" დაბეჭდა სენსაციური მასალა პენტაგონის მიერ ერაყის წინააღმდეგ თავდასხმის შესახებ. ამ გეგმის მიხედვით, ამერიკას ერაყისათვის რვა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა შეეტია ხმელეთით, ზღვითა და ჰაერით და ამ ოპერაციის დროს ათობით ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე უნდა აემოქმედებინა. საინტერესოა, რომ დაგეგმილი ოპერაცია მოკავშირეთა აქტიურ დახმარებას არ მოითხოვდა და მთლიანად ამერიკული ძალებით მოქმედებას ითვალისწინებდა. მართალია, დღეს პენტაგონმა განაცხადა, რომ ეს გეგმა მხოლოდ ჰიპოთეტური იყო და არა რეალური, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ გაჩნდებოდა.

ამერიკის აგრესიულ განცხადებებს თან დაერთო ამერიკელი მუსლიმების ქარიზმატული ლიდერის, "ისლამის ერის" სასულიერო მისიის ხელმძღვანელის, ლუი ფარახანის ვიზიტი ბაღდადში. ფარახანი სადამ ჰუსეინთან შეხვედრას ცდილობს. ამერიკელი ისლამისტების ლიდერმა უკვე გააკეთა რამდენიმე კრიტიკული განცხადება ამერიკის მთავრობის მისამართით, როდესაც შეერთებული შტატების კონგრესს "ლინჩის ბრბო" უწოდა, ხოლო პრეზიდენტ ბუშს "ლინჩის ბრბოს წინამძღოლი" (თავად "ლინჩის ბრბოს წინამძღოლი" გუშინ თავის 56-ე დაბადების დღეს აღნიშნავდა, პრეზიდენტყოფილ მამასთან და ოჯახის წევრებთან ერთად).

გაერო-სა და ერაყს შორის შეიარაღების ინსპექტირების თაობაზე მოლაპარაკების ჩაშლა, შეიძლება, ერაყის წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო კამპანიის ერთ-ერთ მოსამზადებელ რგოლად განვიხილოთ. აშკარაა, რომ ერაყმა დიპლომატიური ომის კიდევ ერთი რაუნდი დათმო და ამით უფრო მიიახლოვა უცხოური ინტერვენციის საფრთხე.


მამა-შვილი ბუშები
REUTERS

# დასავლეთ ევროპას მილიონობით აღმოსავლელი მიაწყდება

ბრიუსელში დაიბეჭდა გამოკვლევა "ევროკავშირის გაფართოება და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიგრაცია", რომლის ავტორები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან იმიგრანტების გახუთმაგებას წინასწარმეტყველებენ. გამოკვლევის მიხედვით, 2004 წელს დაგეგმილი ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, 2020 წლამდე პერიოდში ბალტიის ქვეყნების, პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, უნგრეთისა და სლოვენიის 3-დან 5 მილიონამდე მოქალაქე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუდმივად საცხოვრებლად გადავა. ეს რიცხვი მთელი ცენტრალური ევროპის მოსახლეობის 4-7 პროცენტს შეადგენს.

გამოკვლევის ავტორები ჰაინც ფასმანი და რაინერ მიუნცი ვარაუდობენ, რომ იმიგრანტთა ძირითადი ნაწილი გერმანიას, ავსტრიას, სკანდინავიის ქვეყნებსა და შვეიცარიას მიაშურებს. უნდა ითქვას, რომ გაფართოების შემდეგ, 7 წლის განმავლობაში ევროკავშირში მუშახელის გადაადგილება ევროკავშირის ახალ და ძველ წევრებს შორის შეზღუდული იქნება, მაგრამ, როგორც გამოკვლევის ავტორები მიიჩნევენ, ეს კიდევ უფრო გაამძაფრებს დასავლეთში საცხოვრებლად გადასვლის სურვილს. ამას ხელს შეუწყობს გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში მუშახელის ნაკლებობა, რასაც მომავალ წლებში ვარაუდობენ.

ამ პროცესს მეორე მხარეც აქვს – აღმოსავლეთ ევროპიდან ახალგაზრდა კვალიფიცირებული პროფესიონალის გადინება, რაც ერთნაირად აშფოთებს დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც.

# რუსეთის პრეზიდენტი ცენტრალურ აზიაში აქტიურობს

6-7 ივლისს ყაზახეთის ქალაქ აქთაუში იმართება რუსეთისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების პრეზიდენტების არაფორმალური შეხვედრა, რომელიც ერთობლივ დასვენებას უფრო ისახავს მიზნად, ვიდრე საქმიან შეხვედრებს. "მინი-სამიტის" არაფორმალური ხასიათის მიუხედავად, რუსეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტები (თურქმენბაშმა მათთან შეხვედრაზე უარი განაცხადა) რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ.

უპირველეს ყოვლისა, ლიდერების ყურადღების ცენტრში მოექცევა ეკონომიკური თანამშრომლობის, პირველ რიგში კი, საერთო ენერგეტიკული ბალანსის შექმნის საკითხები. იმსჯელებენ ნავთობის ერთობლივი მოპოვებისა და ნავთობსადენების ერთობლივ გამოყენებაზე, აგრეთვე, სხვა სახის ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებაზეც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ავღანეთში ანტიტერორისტული ომის მიმდინარეობის საკითხსაც, რომლითაც განსაკუთრებით არიან დაინტერესებული ცენტრალური აზიის ლიდერები. საერთაშორისო თანამეგობრობა, ავღანეთში ვითარების სტაბილიზაციასთან ერთად, ეკონომიკის აღდგენით სამუშაოებსაც დაიწყებს, რომლებში მონაწილეობაც ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის და რუსეთისათვის ეკონომიკურად მეტად მომგებიანი იქნება.

# კოსმოსური მზვერავი მზესაც შემოუფრენს

გიორგი გახელაძე

Boeing-ის ხომალდმა "დელტა-2" 3 ივლისს დედამიწას მოწყვიტა ამერიკული კოსმოსური სააგენტოს (NASA) კოსმოსური ზონდი "კონტური", რომელიც კომეტების დასაზვერად არის განკუთვნილი.

აპარატი დედამიწის ორბიტაზე 15 აგვისტომდე "იბორიალებს", შემდეგ ჩართავს ძრავას და პირველი კომეტისაკენ გაეშურება. დედამიწიდან ყველაზე ხშირად დამზერილ და ხანდაზმულ კომეტასთან - "ენკე" - შეხვედრა 2003 წელს შედგება. 2006 წელს კი - "შვასმან-ვახმან-3"-ს გაუსწორდება. მეორე კომეტა შედარებით ახალ გახლეჩილია და მისი "ცხელ-ცხელი" ნამსხვრევების შესწავლა იქნება შესაძლებელი.

დედამიწის ორბიტიდან გასული "კონტური" მზეს შემოუფრენს, დაუბრუნდება დედამიწის ორბიტას და აუცილებელი გრავიტაციული აჩქარებით უკვე დასაზვერ მარშრუტზე გავა. არ იფიქროთ, ამერიკელებმა გზა დახლართეს. არა, სწორედ ასეთი მანევრით, ძალიან ძვირ კოსმოსურ საწვავს ზოგავენ.

ცალკე ექსპედიცია მზადდება კომეტებიდან აღებული ქანებისა და აღრიცხული ინფორმაციის დედამიწაზე ჩამოსატანად. NASA-ში დიდი იმედი აქვთ, რომ სამყაროს, ჩვენი პლანეტისა და მასზე სიცოცხლის წარმოშობის მტკიცებულებებს მიაგნებენ. მას შემდეგ, რაც დედამიწის მსგავსი შესაძლო პლანეტების სავარაუდო რაოდენობად 30 მილიარდი დასახელდა, მით უფრო გაძლიერდა სამყაროს მთავარი საიდუმლოს ამოხსნის სურვილი.



უიმბლდონი

# ჩემპიონი უილიამსია

უიმბლდონის ქალთა ფინალის შემადგენლობის გამოცნობა უადვილესი საქმეა. დები უილიამსები ყველაზე ძლიერები, სწრაფები და ყველაზე წარმატებულები არიან. მიმდინარე უიმბლდონზე სერენა და ვენუსი პირველ და მეორე ნომრებად განთესეს. ისინი ადრეც შეხვედრიან "დიდი მუზარადის" ტურნირების გადამწყვეტ ფაზაში. სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის ფინალი ვენუსმა მოიგო. სერენამ რევანში, ივნისში, საფრანგეთის ღია პირველობაზე აიღო. გუშინ კი უილიამსების ბენეფისი უიმბლდონის ფინალში და, რა თქმა უნდა, ცენტრალურ კორტზე შედგა. თუმცა, ცდებიან ისინი, ვინც თვლის, რომ უილიამსების ოჯახური ფინალი უპრეცედენტოა. შორეულ, 1884 წელს ტურნირის ფინალში მოდ უოტსონმა თავისი და ლილიანი დაამარცხა. უილიამსების ფენომენი თანამედროვე ჩოგბურთის უნიკალური მოვლენაა. თუმცა, "შავი" ფინალები მოსაბეზრებელიც ხდება. საგულისხმოა ერთ-ერთი ჟურნალისტის ნახევრად ხუმრობით ნათქვამი: " მათი ფინალი მხოლოდ უილიამსების ოჯახის წევრებს და სერენას გერმანელ გულშემატკივარს, ალბრეჰტ სტრომაიერს აინტერესებს." აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. როგორც წესი, მობილიზებული დები, ურთიერთშეხვედრების დროს უამრავ უნებლიე შეცდომებს უშვებენ. ფრანგმა ჩოგბურთელმა ამელი მორესმომ, ნახევარფინალში სერენასთან დამარცხების შემდეგ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა: "ის რაც ხდება, ძალიან სევდისმომგვრელია. დების ფინალები ტრადიციად იქცა და ინტერესიც თანდათან ნელდება. უმეტესობა ამბობს, რომ არ სურს უილიამსების ურთიერთშეხვედრის ნახვა. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ისინი დღეს უძლიერესები არიან და დამსახურებულად დომინირებენ." რაც არ უნდა ითქვას, სერენასა და ვენუსის ფინალი სამართლიანია - მათ სტაბილურად ითამაშეს და ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს. ყველასათვის ნათელია, რომ უფროსი უილიამსისათვის ყველაზე რეალური მეტოქე სწორედ სერენაა. მხოლოდ მას შეუძლია, გაუმკლავდეს საოცარი ძალის პირველ მოწოდებას. საინტერესოა, რომ მიმდინარე წელს სერენამ ორჯერ მოუგო უფროს დას. სხვა მეტოქეებთან კი ვინუსის ბალანსი შთამბეჭდავია - 41 მოგება და მხოლოდ სამი მარცხი. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ უილიამსების ოჯახი ამა თუ იმ ფინალის დაწყების წინ წინასწარ საზღვრავს გამარჯვებულის ვინაობას. თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა.

ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ორივე ფინალისტი უამრავ შეცდომას უშვებდა. სტატისტიკოსებმა 47 უნებლიე და 8 ორმაგი შეცდომა დააფიქსირეს. პირველი სეტი ტაი ბრეიკამდე მივიდა და სერენა უილიამსის გამარჯვებით, 7:6 დასრულდა. მეორე სეტში ვენუსმა მობილიზება ვერ შეძლო და საკუთარი მოწოდების წაგების შემდეგ საბოლოოდ დათმო უპირატესობა. აღსანიშნავია, რომ დიდი როლი ითამაშა მოტივაციამ, რომელიც სერენას მეტი აღმოაჩნდა. მან 6:3 მოიგო და პირველად გახდა უიმბლდონის ჩემპიონი. დასრულებული ტურნირი მისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია – სერენამ, კარიერის მანძილზე, პირველად წაართვა საუკეთესოთა რეიტინგის პირველი ადგილი ვენუსს. "სიტყვები არ მყოფნის. უბრალოდ, ბედნიერი ვარ. ჩემი ოცნება ახდა. ეს სიხარული გაცილებით დიდი იქნებოდა, ჩემი დის ნაცვლად, სხვა მეტოქე რომ დამემარცხებინა," - განაცხადა უიმბლდონის ახალმა ჩემპიონმა.



ვენუს და სერენა უილიამსები REUTERS

ფეხბურთი

# შინმოუსვლელი

პაატა თოთაძე

ფეხბურთი ინგლისში დაიბადა, მაგრამ რახანია, უკვე მიტოვებული აქვს სახლ-კარი და არც არავინ უწყის, შინ როდის დაბრუნდება. ინგლისში ფეხბურთი დიდი ხანია მითად იქცა. მასზე ლეგენდებს თხზავენ - რომის ისტორიისა არ იყოს, სადაც ვერ გაიგებ, რა იყო სინამდვილეში და საუკუნეების შემდეგ რა მოიგონეს ისტორიკოსებმა.

დიდი ხანია, ინგლისი წაგებებით ცხოვრობს. 1966 წლის შემდეგ ამ გუნდს რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ინგლისელებმა სიმღერა შექმნეს - "ფეხბურთი ბრუნდება სახლში". ინგლისელთათვის ეს ნიშნავდა ჩემპიონობას და, რაღა თქმა უნდა, მათი აზრით, საფეხბურთო სიწმინდეების შემლახველ გერმანელებზე გამარჯვებას. მაშინ ფეხბურთი მხოლოდ ძალიან მცირე ხნით დაბრუნდა სახლში და უკან გაბრუნდა. მაშინ, 6 წლის წინათ, მთელი ინგლისის სალანძღავი გერმანელთა კარში პენალტის ვერგამტანი გარეტ საუთგეიტი იყო. ორი წლის შემდეგ ეს მისია დევიდ ბექჰემმა "იტვირთა". წლეულს უმეტესობა ვარაუდობდა, რომ ინგლისს ასეთი ძლიერი გუნდი 1966 წლის შემდეგ არ ჰყოლია. ამ მოსაზრებას ზოგიერთები ეწინააღმდეგებოდნენ - საუკეთესოდ 1996 წლის ნაკრებს მიიჩნევდნენ. ასეა თუ ისე, ვერც იმდროინდელმა და ვერც ახლანდელმა ნაკრებმა ქვეყანას ვერ მოუტანეს ის წარმატება, რასაც მისგან ელოდნენ. ვერც ტერი ვენეიბლზმა და ვერც სვენ გორან ერიკსონმა ვერ შეძლეს ფეხბურთის სახლში დაბრუნება. აღარაფერს ვამბობთ კევინ კიგანზე, ამ უდავოდ ნიჭიერი და უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელზე, ვისი ხელმძღვანელობითაც ნაკრები ევრო 2000-ზე მაინც ვერ გავიდა ჯგუფიდან.

ცოტა ხნის წინ ინგლისში ახალი მითი შეითხზა. ერის მტრად, რომელიც შემდგომში, რა თქმა უნდა, ამნისტირებული იქნება, დევიდ სიმენი გამოცხადდა. ის სიმენი, თავისი შეცდომით ინგლის-ბრაზილიის მატჩის ბედი რომ გადაწყვიტა მეტოქის სასიკეთოდ. ბექჰემი – ინგლისურ ფეხბურთის ვარსკვლავი - ამხნევებს მას, ახალგაზრდა დენი მილსმა ზურგი შეაქცია ვეტერანს, გაცოფებული სოლ კემპბელი ჩუმად, მისგან დამალულად ილანძღება. გაოგნებული ფანები, რომლებიც შიძუოკას დარბევისთვის ემზადებოდნენ (ეს მათი სავიზიტო ბარათია), ისევე წყნარად უსტვენენ, როგორც ეს ხდებოდა ორი, ოთხი, ექვსი წლის წინათ. "ხანდახან ისე ვარ, რომ ლამისაა თავი მოვიკლა, ნუთუ მხოლოდ მე დავუშვი შეცდომა ამ ქვეყანაში?". სიმენის ეს სიტყვები მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე მეტყველებს. ოთხი წლის წინათ ანალოგიურ მდგომარეობაში იყო დევიდ ბექჰემი: "სახლიდან გამოსვლა არ მინდოდა. მეგონა, ყველა ჩემს წინააღმდეგ იყო. ახლაც მიკვირს, როგორ შევძელი იმ მდგომარეობიდან გამოსვლა".



დევიდ სიმენი REUTERS

ინგლისურ პაბებში, ჩვენებურად ლუდის ბარს რომ ეძახიან, ინგლისური სიამაყის შემბღალავად ბრაზილია გამოცხადდება. ისინი სპეციალურად მალავდნენ თავიანთ ნამდვილ სახეს, წინა მატჩებში სპეციალურად თამაშობდნენ დაცვაში სუსტად იმ მიზნით, რომ ინგლისელებისთვის მოეგოთ და მათი კუთვნილი ადგილი წაერთმიათ ნახევარფინალში, ფინალში და საერთოდ ისტორიაში. მათ წაართვეს ინგლისელ გულშემატკივრებს უფლება, დაერბიათ კორეული თუ იაპონური ქალაქები, არ მისცეს გამდიდრების საშუალება (თუნდაც, მცირედით მაინც) მათ, ვისაც ინგლისის ნაკრებზე ტოტალიზატორებში გარკვეული თანხა ჰქონდა დადებული. ასეთები კი მრავლად იყვნენ, ზოგი იმედოვნებდა მილიონების მოგებას, ზოგი - ათასების და ა.შ. პაბების მეპატრონეებს კი შემოსავლის ზრდა შეუჩერეს (უმეტესობა ფეხბურთს იქ უყურებს), მაგრამ ამჯერად ინგლისელებს არავინ თანაუგრძნობს. საქმე ის კი არაა, რომ ინგლისმა ვერ აჩვენა ის ფეხბურთი, რომელიც ბრაზილიას დაამარცხებდა, ყველაფერი გულშემატკივრის (კარგად რომ ვერ უგულშემატკივრა), მსაჯის (ჯარიმა რატომ დანიშნა) და სიმენის (წინ რატომ იყო გამოსული) სინდისზეა.

ყველამ კარგად იცის, როგორ დამთავრდება ინგლისური მითის მორიგი თავი, სადაც მოხსენიებული იქნება ბოროტი რივალდო, ბოროტი რონალდინიო, შეცდენილი სიმენი და კეთილი ოუენი. ფეხბურთი კი არა და არ უბრუნდება მშობლიურ სახლკარს, სადაც სიცოცხლეს ეზიარა და დღის სინათლე იხილა.

# არგენტინის ნაკრები ჯერაც უმწვრთნელოდაა

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ჯერაც ვერ გადაწყვიტა, თუ ვის მიანდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტი. ერთი კი ცხადია, მარსელო ბიელსა ამ თანამდებობას აღარ დაიკავებს.

არგენტინელ გულშემატკივრებს ჰყავთ თავიანთი კანდიდატურა, ეს არის "ბოკა ხუნიორსის" ყოფილი მწვრთნელი კარლოს ბიანკი. ამ სპეციალისტმა "ბოკას" სამჯერ მოუტანა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ორჯერ "ლიბერტადორესის" და ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი მოაგებინა. გასული წლის ნოემბრის თვის შემდეგ მწვრთნელი უმუშევარია. "უდიდესი პატივია ჩემთვის, როდესაც ვიცი, რომ ხალხს ნაკრების მწვრთნელად ვუნდივარ," – განაცხადა ბიანკიმ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა კი დღემდე გაურკვევლობაშია. თავდაპირველად, მარსელო ბიელსას შეცვლა მისივე ასისტენტით ნესტორ პეკერმანით სურდა. შემდეგ გადაიფიქრა და კლუბ "ჩაკარიტას" თავკაცს ხოსე ომარ პასტორიცას დაუკავშირდა. ამჟამად გრონდონას არგენტინის ეროვნული ნაკრების პოსტზე კვლავ არ ჰყავს კანდიდატურა.

# "ჰოლანდიური ტრიო" დაპატიმრებას გადაურჩა

ყოფილი ჰოლანდიელი ვარსკვლავები მარკო ვან ბასტენი, რუდ გულიტი და ფრანკ რაიკარდი იტალიური სასამართლოს წინაშე წარსდგნენ გადასახადების დაფარვის გამო. მართლმსაჯულებამ "ჰოლანდიურ ტრიოს" სამთვიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა, თუმცა ყოფილ ფეხბურთელებს ციხეში ჩაჯდომა არ მოუწევთ, რადგან სასამართლომ მათ გირაოს გადახდის უფლება მისცა და ჰოლანდიელები 1500 ევროს გადახდის შემდეგ თავდებით გაანთავისუფლა.

# გულახდილი მეძავი

იტალიურ ფეხბურთში დიდი სკანდალი მწიფდება. ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ფეხბურთელები მეძავების მუდმივი კლიენტები ყოფილან.

ისტორია გასულ უქმეებზე დაიწყო, როცა იტალიის პოლიციამ 31 წლის მეძავი, ლორედანა ბერნო დააკავა. ბერნომ ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, ფეხბურთელთა წინააღმდეგ მისცა ჩვენება. მისი თქმით, "მასაჟის სალონის", სადაც ის მუშაობს, მუდმივი კლიენტები არიან ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელები, კერძოდ, პაოლო მონტერო – ურუგვაის ნაკრების კაპიტანი, მარკ იულიანო - "სკუადრა აძურას" მცველი, ატირსონი და იგორ ტუდორი - ხორვატიის ნაკრების მცველი.

"მასაჟის სალონის" სახელით ბორდელი ინიღბება. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. ბერნო ამტკიცებს, რომ ის და მისი კოლეგები, უძველესი პროფესიის ქურუმები, აგრეთვე ხვდებოდნენ "ბებერი ქალბატონის" ექს-ფეხბურთელს მასიმო მაუროს, რომელიც ერთი პერიოდი "ჯენოას" კლუბის პრეზიდენტი იყო.

გულახდილი მეძავი დესერტად იმასაც აცხადებს, რომ ფეხბურთელების სახლში, მისი მონაწილეობით, ხშირად ნამდვილი ორგიები ეწყობოდა, სადაც ჩვენი გმირები ჰაშიშსა და კოკაინზეც არ ამბობდნენ უარს.

რაგბი

# ქართული რაგბის ამბები

პაატა თოთაძე

ქართული რაგბის ბოლოდროინდელმა წარმატებებმა საქართველოს რაგბის კავშირს საშუალება მისცა, 21 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარება თბილისში მოეთხოვა. მოითხოვა და ფირა-სგან თანხმობაც მიიღო, მაისის ბოლოს შესარჩევ ეტაპს თქვენთან ჩავატარებთო. ჯგუფში, საიდანაც შემდგომ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გადიოდა, ქართველებთან ერთად იუგოსლავიელები, უკრაინელები და უნგრელები იყვნენ. ისე მოხდა, რომ საქართველოში ჩამოსვლა რატომღაც ყველამ იუარა, ფირა-მ კი იუგოსლავიელთა წინადადება მიიღო და ტურნირის ბელგრადში ჩატარება გადაწყვიტა. ამაზე ქართულმა მხარემ პროტესტი გამოთქვა, რადგან ქართველ მორაგბეებს იქ წასასვლელად ელემენტარულად ფული არ ჰქონდათ. გადაწყდა, რომ ჩვენებს ფირა ან იუგოსლავიის რაგბის კავშირი დააფინანსებდა. უფრო ეს უკანასკნელი, რადგან ტურნირის მასპინძლად ბელგრადის გამოცხადების ინიციატორი სწორედ ის იყო.



შერკინების წინ ფოტო ჟურნალი "რაგბი"-დან

თავდაპირველად, ტურნირი 25-28 ივლისს უნდა გამართულიყო, შემდგომ რატომღაც მისი ჩატარება 11-15 ივლისს გადაწყდა. ახლა კი სექტემბრისთვის გადაიდო. საქმე ისაა, რომ იუგოსლავიის რაგბის კავშირს, ტურნირის ჩასატარებლად და მით უმეტეს ქართველთა დასაფინანსებლად, საკმარისი თანხები არ აღმოაჩნდა. ტურნირი რომ სექტემბერში გაიმართება, დანამდვილებითაა ცნობილი, გამართვის ადგილი კი, ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. ამჟამად ეროვნული ნაკრები საშემოდგომო ბრძოლებისათვის აჭარაში ემზადება. მარტო შეკრებით რომ საქმე არ კეთდება, კავშირის ხელმძღვანელობამაც კარგად უწყის, ამიტომაც აწარმოებდა მოლაპარაკებას იტალიელებთან სექტემბერში ტესტმატჩის ჩატარების თაობაზე. ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა, რადგან ნაკრებს საფრანგეთში ერთობ წარმომადგენლობით, ვაკერენის სახელობის ტურნირზე მოუწევს თამაში, სადაც მონაწილეობას წამყვანი ფრანგული კლუბები მიიღებენ. ნაკრების მწვრთნელის, კლოდ სორელის თქმით, იტალიელებთან ერთხელ გაჯიბრებას რამდენიმე ფრანგულ კლუბთან თამაში სჯობს, მით უმეტეს, რომ ეს კლუბები დონით აღემატებიან კიდეც იტალიის ნაკრებს. ეს აგვისტოს მიწურულს მოხდება, მანამდე კი ბათუმიდან დაბრუნებული ნაკრების წევრები, სადაც ბათუმის "დათვებს" ორჯერ გაეჯიბრებიან, თავიანთ კლუბებში მოემზადებიან.

სხვათა შორის, რუსებთან მატჩისთვის და, ალბათ, მომავალშიც, საქართველოს ნაკრების უკანა ხაზის მოთამაშეებს საგანგებოდ ამ ამპლუის მოთამაშეთა მწვრთნელი პატრიკ ფორი გაწვრთნის. ის "ბეზიეში" თამაშობდა შიდა სამმეოთხედელად და იქვე განაგრძო სამწვრთნელო კარიერა. დიდი ხანია, საქართველოს ნაკრების აქილევსის ქუსლად უკანახაზელთა თამაში იქცა და სორელიც ამის გამოსწორებას 46 წლის ფორის დახმარებით აპირებს.

FORMULA 1

# სად იშოვება მილიონი?

მსოფლიო ჩემპიონატის მეათე ეტაპის დაწყებამდე, რომელიც ინგლისურ სილვერსტოუნში ჩატარდება, სპორტის ამ სახეობის მოყვარულები, შესაძლოა, ფრიად უსიამოვნო სიურპრიზის მოწმენი გახდნენ. ინგლისელი საქმოსნის, ტომ უიკინშოუს გუნდი "ეროუზ გრან-პრი" ვალებში ჩაეფლო და, სავარაუდოდ, საკვირაო რბოლაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, გუშინ უიკინშოუს ჯერ კიდევ ჰქონდა თეორიული შანსი, დაემტკიცებინა საწინააღმდეგო. საამისოდ მას, საღამოს 7 საათამდე, 5 მილიონი დოლარი უნდა ეშოვნა.

უიკინშოუ ფორმულის სამყაროში პოპულარული სკანდალური ისტორიის შემდეგ გახდა, რომელსაც არცთუ დიდი ხნის წინ, ჩემპიონატის მეორე ეტაპამდე წინ ჰქონდა ადგილი. მაშინ ინგლისელმა გაკოტრებული "პროსტის" აქციების შესყიდვით, ახალი გუნდის "ფინიკს ფაინენსის" ჩამოყალიბება, უფრო სწორად კი, ძველისთვის სახელის შეცვლა გადაწყვიტა. ამას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, რომ არა უიკინშოუს "ბრწყინვალე" იდეა, გვერდი აეარა ყველა გუნდისთვის აუცილებელი პროცედურისთვის, რომელიც ითვალისწინებდა დეპოზიტის სახით ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) ანგარიშზე 48 მილიონი დოლარის გადარიცხვას. მისი გენიალური ჩანაფიქრი, ასევე გენიალურად ჩაიფუშა – მის წინააღმდეგ მოქმედ გუნდებთან ერთად FIA გამოვიდა.

უკვე მაშინ უიკინშოუს მოუწოდებდნენ, ყურადღებით მოკიდებოდა "ეროუზის" პრობლემებს, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, უკვე სეზონის დასაწყისში ვალებში იყო ჩაფლული. ამას დაემატა წარსულში ცნობილი მრბოლის, ნიკი ლაუდას ულტიმატუმიც. საქმე ისაა, რომ ლაუდას გუნდი "იაგუარ კოსუორტი" "ეროუზს" ძრავებით ამარაგებდა. დიახ, ამარაგებდა, რადგან, ლაუდას თქმით, უიკინშოუს მიერ მისდამი არსებული დავალიანების დაფარვამდე, გუნდს რბოლებში მონაწილეობის მისაღებად ძრავები აღარ მიეწოდება. სწორედ ეს 5 მილიონი ჰქონდა საშოვნი უიკინშოუს გუშინ საღამომდე.

ინგლისელმა ვითარების გამოსწორება გუნდის აქციების ნაწილის პარტნიორებისთვის - "Red Bull GmbH" და "Red Bull North America Inc" - მიყიდვით სცადა, მაგრამ ამას წინ აღუდგა "ეროუზის" ძველი ინვესტორი - "Morgan Grenfell Private Equity", რომელმაც გუნდის წინააღმდეგ სარჩელიც კი შეიტანა სასამართლოში.

"ჩვენ ახლა სასწაული თუ გადაგვარჩენს", - გულახდილად აღიარა "ეროუზის" ერთ-ერთმა ადვოკატმა. სასწაული ალბათ არ მოხდება, ისევე როგორც არ მოხდა ექვსი თვის წინანდელ ისტორიაში, "პროსტთან" დაკავშირებით. გუშინ "ეროუზის" არც ერთი ბოლიდი საკვალიფიკაციო რბოლებზე არ გამოვიდა. სამხრეთ ინგლისური გუნდის 25-წლიანი ისტორია, რომელიც 363 რბოლაში მონაწილეობას ითვლის, როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება.

# დონა კარანის მუზა - ქალიშვილი



კარანების ოჯახი REUTERS

გაბი კარანის სახელი ჯერ მხოლოდ ვიწრო წრეშია ცნობილი. თუმცა, მას ყველაზე დიდი ექსპერტი – დედა, დონა კარანი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს. 26 წლის გაბი დონას მუზაც იყო, როცა ის 1989 წელს DKNY-ს მრავალმიმართულებიან ხაზს ქმნიდა. ახლა კი კარანის ნიჭიერი ქალიშვილი მანჰეტენზე მდებარე დედის მთავარ მაღაზიაში მოდელიერად მუშაობს, თუმცა, მუზობას მაინც არ იშლის – სწორედ გაბი გახლავთ კარანის ორი ახალი სურნელის – DKNY Energy ქალებისა და მამაკაცებისათვის შთაგონების წყარო. მისი დამსახურებით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა დონას ახალი სუნამოც, რომელიც გასაყიდად წელს ზაფხულს გამოვა.

"გაბია ყველაფრის მუზა, რასაც საერთოდ ვაკეთებ. თუმცა, DKNY უკვე იმხელა და ისეთი მრავალფეროვანია, რომ მხოლოდ ერთი ადამიანის გემოვნებას სცილდება. როცა ახალ სურნელზე ვმუშაობ, დავდივარ და ყველას ვასხურებ, ყველას აზრი მსურს გავიგო. გაბი ყველაზე კრიტიკულია ხოლმე, მაგრამ მის აზრს ძალიან ვაფასებ", - აცხადებს მუზის დედა.

რაც შეეხება DKNY-ის ახალ არომატს, თავად ავტორის განმარტებით, ის "ნიუ იორკის მაჯისცემას ასახავს". ცინცხალი და მაცოცხლებელი სურნელი გამოხატავს იმ ჰიპურ განწყობას, რომელიც ნიუ იორკში ზაფხულობით სუფევს ხოლმე. "ამ ახალი სურნელის მიზანია, გამოგაცოცხლოთ, განწყობა აგიმაღლოთ. როცა ზაფხულის სიცხე პიკს აღწევს, გსურთ, რომ მაკიაჟიც და ტანისამოსიც რაც შეიძლება მსუბუქი გქონდეთ, DKNY-ის ახალი არომატი სწორედ ასეთ დროს გამოგადგებათ", – განმარტავს დონა კარანი.

# სალმა ჰაიეკის ახალი დაავადება

წარმოშობით მექსიკელი მსახიობი სალმა ჰაიეკი გამოტყდა - ის იტანჯება განსაკუთრებული სახის მანიით, რომელსაც სახლების ყიდვის მანია ჰქვია. თუმცა, არა მარტო სახლების. სალმას ყოველი წვრილმანი ნივთის შეძენა ანიჭებს ბედნიერებას. როდრიგეზის ჰიტ-ფილმის, "დესპერადოს" ვარსკვლავი აცხადებს: "ეს რაღაც სენია, რომელიც კონტროლს საერთოდ არ ექვემდებარება. უბედნეირესი ვარ, როცა რაღაცას ვყიდულობ, თუ ნივთი შემთხვევით გამიტყდა, ჩემზე უბედური არავინაა". სალმა ჰაიეკი ამ პრობლემას სრული სერიოზულობით უდგება და მკურნალობას აპირებს.

# კინოინდუსტრია ქალებს ჩაგრავს

ახალი გამოკითხვის მიხედვით, კინოინდუსტრიაში ქალებს თავის დამკვიდრება კვლავაც უჭირთ. ოფიციალური სტატისტიკა ცხადყოფს, რომ 2001 წელს წარმატებული ფილმების მხოლოდ 6 პროცენტია ქალი რეჟისორების მიერ გადაღებული. კინობიზნესში დომინანტურ როლს კვლავაც მამაკაცები ასრულებენ, ხოლო ქალ რეჟისორებს ყოველთვის ეჭვით უყურებენ. დამკვიდრებული სტერეოტიპი დაახლოებით ასეთია: ქალი ფილმს ან საერთოდ ვერ გადაიღებს, ანდა, მსუბუქ, რომანტიკულ მელოდრამას ვერ გასცდება.

არადა, შარშან ჰოლივუდში ჩატარებული კვლევა მანდილსონებისთვის უფრო იმედისმომცემ ციფრებს შეიცავდა: 2000 წელს 250 საუკეთესო ფილმიდან 11 პროცენტის ავტორი ქალი იყო, 2001 წელს კი ეს ციფრი 6 პროცენტამდე შემცირდა.

როცა საქმე ოსკარზე მიდგება, აქაც უსამართლობას ვაწყდებით – ცერემონიალის მთელი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ორი ქალი რეჟისორი იყო წარდგენილი საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაზე და გამარჯვებისთვის არც ერთს არ მიუღწევია. მათ შორის იყო ჯეინ კამპიონი ფილმისათვის The Piano 1994 წელს და ლინა ვერტმიულერი ფილმისათვის Pasqualino Settebellezze 1976 წელს.

უკეთესი სიტუაცია არც ბრიტანეთშია. თუმცა, იქ ახლახან წარმოუდგენელი პოპულარულობა მოიპოვა რეჟისორმა ქალმა გურინდერ ჩადჰამ, ავტორმა ფილმისა Bend it Like Beckham. აპრილში გამოსულმა ფილმმა აღიარება, ალბათ, საზოგადოების დევიდ ბექჰემისადმი სიყვარულითაც მოიპოვა.

# TV პროგრამა 7 ივლისი

## რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.15 მულტსერიალი
10.45 „ოქროს ვარდის გამოქვაბული"
11.15 სერიალი „ნიკიტა"
12.10 მხ.ფილმი
13.50 სიმფსონები
14.20 მხ. ფილმი
16.50 ჯაზი
18.00, 00.20 კურიერი
18.20 უიმბლდონის ტურნირის ფინალი მამაკაცებში
19.50 დოკ. ფილმი „ველური ბუნება"
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 „ჯეოსელის კინოკლუბი". „მოაშორეთ კარტერი", „დრაივი", „ბიძაშვილი ბეტი"
01.30 მხ.ფ. „კრავთა დუმილი" მთ.როლებში: ჯუდი ფოსტერი, ენტონი ჰოპკინსი

## პირველი არხი

08.00, 20.00, 00.00 „მოამბე"
08.15 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი"
08.40 „მსოფლიოს ველური ბუნება"
09.25 მელომანია
10.00 დილის პაემანი
11.05 მხიარული კარუსელი
11.30 ფრანგული პროგრამა „მოდი ვიცეკვოთ"
12.00 მსოფლიოს ახალი ამბები
12.15 ბავშვები უპირველეს ყოვლისა
12.30 მიწის პროექტი საქართველოში
12.50 „მეტრო"
13.20 ფრანგული პროგრამა
13.45 გლობუსი
14.20 საკვირაო გამოფენა
14.35 არათბილისური ამბები
15.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი სექტემბერი"
17.00, 23.35 დოკ. სერიალი „მეოცე საუკუნე"
17.50 „ამბები ჩვენზე"
18.15 „ბავშვთა უფლებების კონვენცია"
18.35 „მაღალი მოდის სამყარო"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.25 საქართველო არის ესე
20.55 ჩვენი ენა ქართული
21.00 „მიამბეთ თქვენზე
21.40 ალექსანდრე ბასილაია
00.15 მხ.ფ. „სილამაზის სალონი „ვენერა"

## მეორე არხი

19.00 მხ. ფილმი „ინკოგნიტო"
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „მას ერქვა ნიკიტა"

## ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 თქვენი აზრით...
19.20 ჩვენი თაობა
20.00 თავისუფალი მიკროფონი
20.15 მოგზაურობა ბავშვობაში
20.30 იქ, სადაც სიყვარულია...
22.10 „იდენ ტვ"
22.40 სერიალი „მოქალაქე უფროსო"
23.40 მსოფლიო სპორტი
00.40 მხ. ფილმი „მეორე კანი"

## იბერია

08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.05, 11.45, 20.20, 22.05, 00.00 მუსიკა
08.25 მხ.ფ. „ქალთა ორთაბრძოლა"
10.15 მხ.ფ. „ელემენტები"
20.25 მხ.ფ. „ღამის მოჩვენებანი"
22.15 მხ.ფ. „სახიფათო სიმართლე"

## პირველი სტერეო

07.30 „მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ტოროლა"
13.00 „პრეს-პრესი" განმეორებით
14.00 „სწ.მედია" მხ.ფ. „ადამიანი ოზობა"
16.00 „უცნობი" განმეორებით
17.00 ათეული
18.00 „სოლო" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 ინფორმატორი
22.20 რეკლამის ათეული
23.00 „ცენტრი"
00.00 „ბრავო" მხ.ფ. „რომანტიკით დაბადებული". მთ. როლში კრეიგ ფერგიუსონი
01.55 ღამურა „მოკრივე". მთ. როლებში დენი დეი-ლიუისი, ემილი უოტსონი
03.15 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი „სასიამოვნო მოგონებები"
15.00 მხ.ფ. „გაიცანით ჯო ბლექი"
18.00 მხ.ფ. „ბებერი ჯაგლაგები"
20.00 მულტფილმი „კოსმოსური კალათბურთი"
20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
21.30 მხ.ფ. „ბანგკოკ ჰილტონი"
00.20 მხ.ფ. „მალენა"

## მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები"
09.20, 18.50, 20.50, 22.00, 00.00 მუსიკა
09.35 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
10.00, 15.00 „დილა"
11.20 გადაცემა „ჭკუის კოლოფი"
12.00, 14.05, 17.55 დისქავერი
12.30 გადაცემა „საუბრები სტუდიაში"
13.20 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
16.20 მხ.ფილმი „ადამიანი ამფიბია" მთ. როლებში ა. ვერტინსკაია, მ. კოზლოვი
19.00 მაცაცერა
19.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
19.30 მსოფლიო ფეხბურთი
20.00 სად? რა? როდის?
21.10 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.10 მხ.ფ. „ვამპირები". მთ. როლებში ჯეიმს ვუდსი, დ. ბოლდუინი
00.15 მხ.ფ. „მექსიკელი". მთ. როლებში ბრედ პიტი, ჯულია რობერტსი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 „ფოკუსი"
09.50 სათავგადასავლო ფილმი „მელი"
11.20 „პერსონა"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 „Улово"
12.45 მხატვრული ფილმი „ პირველი რაინდი „
14.55 „ყველანი ვართ პატარები"
15.05 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი „მაუგლი"
17.15 კომედია „იტალიელთა საოცარი თავგადასავალი რუსეთში"

19.20 მხატვრული ფილმი „ციმბირელი დალაქი" 2 ნაწილი
20.50 დოკუმენტური ფილმი
22.30 „ Новости в воскресенье"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.20 მიუზიკლი „ჰელოუ , დოლი"
03.30 დრამა „ბრწყინვალება"
05.10 დოკუმენტური ფილმი

## VII არხი

16.50, 19.50,22.30,01,55 ანონსი
16.55,21.50 ამინდის პროგნოზი
17.00 ფორმულა-1. ბრიტანეთის გრან-პრი.
18.45 მუსიკალური ტაიმაუტი
19.00 „აჩიკუდა"
19.25 „სახლიდან გაუსვლელად"
19.45 „ლა-ლა-ლა"
20.40 რაგბი. აფრიკა-არგენტინა
21.45 „ავტოტრეკინგი"
22.40 „სახლიდან გაუსვლელად"
23.00 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. „გენერალი"
ა.შ.შ. 2001 წელი. კრიმინალური ისტორია. რეჟისორი - ჯონ ბურმანი. როლებში: ბრენდონ გლისონი, ჯონ უოიტი.
01.00 „სახლიდან გაუსვლელად"
01.20 სპორტული პროგრამა - „კასკადიორები"
01.55 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.45 х.ф. "ЕХАЛИ В ТРАМВАЕ ИЛЬФ И ПЕТРОВ"
09.00, 11.00, 16.00 Новости.
09.10 Служу России!
09.40, 15.30 Дисней-клуб
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 "Непутевые заметки"
11.30 Пока все дома.
12.05 КВН - 2002
14.15 Клуб путешественников.
15.00 Сами с усами
16.10 х.ф. "МИКРОКОСМОС"
17.45 "НЕВИРОЯТНОЕ ПРИКЛЮЧЕНИЕ ИТАЛЬАНЦЕВ В РОССИИ"
19.45 х.ф. "КОНЕЦ СВЕТА"
22.00 Времена
23.05 х.ф. "БЕСПОКОЙНЫЙ СВИДЕТЕЛЬ"
00.55 "На футболе с Виктором Гусевым"
01.25 Фестивал "Крылья"

## РТР

07.20 Фильм "СПЯЩАЯ КРАСАВИЦА"
08.55 Сериал "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
09.50 Русское лото
10.40 "ТВ-Бинго шоу"
11.20 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.45 Сам себе режиссер
12.40 "Городок"
13.10 х.ф. "СИЦИЛИАНСКАЯ ЗАЩИТА"
15.00 Вести.
15.20 Парламентский час
16.05 Диалоги о животных
16.55 чемпионата мира по автогонкам Формула 1
19.00 "НА ДЕРИБАСОВСКОЙ ХОРОШАЯ ПОГОДА"
21.00 Вести недели.
21.55 Аншлаг
23.00 х.ф. "НЕСКОЛЬКО ХОРОШИХ ПАРНЕЙ"
01.45 Спорт за неделю
02.45 "Твин-пикс"

## НТВ

07.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня.
09.15 фильм "ДЖУЛЬБАРС"
10.25 На старт!
11.15 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
12.20 "Растительная жизнь"
13.20 фильм "ВСАДНИК БЕЗ ГОЛОВЫ"
15.20 Вкусные истории.
15.35 Все сразу
16.10 Своя игра.
17.20 Ток-шоу "Принцип "Домино"
18.30 Очная ставка
19.00 Шоу Елены Степаненко.
20.30 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" 3-я с.
21.35 фильм "КИКБОКСЕР. ВОЗВРАЩЕНИЕ"
23.30 Что? Где? Когда?
00.40 Фильм "ЧЕРНЫЙ ДОЖДЬ"
01.35 Пепси-чарт.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


